

"ბორჯომის" ფესტივალი ბათუმში

A7



რას გვამცნობენ საფლავის ქვები

A7



"დინამო" დანიურ ბარიერთან

A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 26 ივლისი, 2005 წელი. №168 (1028) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### სულხან მოლაშვილი პატიმრობაში რჩება

სულხან მოლაშვილის დამცველები ირწმუნებიან, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე 2005 წლის 22 იანვრიდან უკანონო პატიმრობაშია, რადგან ამ დროისთვის ამოიწურა, ბრალდებულის სჭხით, პირის დაკავებისათვის დადგენილი საბოლოო ვადა.

A2

## ამბები

### ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი და აფხაზეთის ხედი

200 ლარის ღირსების ბანკნოტზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი და აფხაზეთის (სავარაუდოდ, სოხუმის) ხედი იქნება გამოსახული. ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვის კომისიამ 25 ივლისს გამართულ სხდომაზე მიიღო.

A3

## ამბები

### სახელმწიფო ოჯახური ძალადობის პრობლემის არსებობას არ აღიარებს

ისეთი აქტუალური თემა, როგორიცაა ძალადობა ოჯახში, ხმამაღალი და ხშირი ხსენების საგანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან გამკლავება ნამდვილად რთული, ან უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია.

A4

## ამბები

### ექსპერიმენტული გზა რიკოთის უღელტეხილზე

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, რიკოთის უღელტეხილთან ახლი ტექნოლოგიით, "გრიკოლის" გამოყენებით დაგებული გზა თვითონ გაუმკლავდება ყინვასა და თოვლს და მძღოლებს უსაფრთხო გადადგილებაში დაეხმარება.

A4

## ამინდი

| | 26/07 | 27/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 37 |
| ტყიბული | 34 | 34 |
| სოხუმი | 32 | 33 |
| დმანისი | 30 | 28 |
| გორი | 33 | 31 |
| ონი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 35 | 36 |
| ახმეტა | 38 | 36 |
| გაგრა | 30 | 32 |
| სამტრედია | 35 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.1827 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1460 |
| რუბლი | 0.0631 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სხვადასხვა | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# "რუსული კვალი" საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებში

*გორში სამხარეო პოლიციის შენობის წინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 1 თებერვლის ტერაქტის საქმე გახსნილად გამოაცხადა და საქმის დეტალებზეც დაწვრილებით ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ გორის ტერაქტის განხორციელებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მასში სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელი ერია. ბოლო წლების მანძილზე ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში მომხდარი ტერორისტულ-დივერსიული აქტების კვალი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებისკენ მიდიოდა, მაგრამ სამართალდამცველები ზეპირსიტყვიერებას ვერ სცდებოდნენ. თუმცა, გორის ტერაქტი პირველი შემთხვევაა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა, პრაქტიკულად, მოახერხეს საქმის რეალური გახსნა და იმ "რუსული კვალის" გამოვლენა, რომელმაც საქართველოში სხვა ტერაქტებიც განახორციელა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



გორის ტერაქტში ეჭვმიტანილი გია ვალიევი აღიარებით ჩვენებას იძლევა.

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისევ დაიძაბა

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებას, გორის ტერაქტში რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობის შესახებ, უმალვე მოჰყვა რეაქცია როგორც რუსეთიდან, ისე ცხინვალის რეგიონიდან.*

ნინო გომართელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გორში 1 თებერვალს მომხდარი ტერაქტი გახსნა და სამი ეჭვმიტანილი დააკავა. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ტერაქტი რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამსახურის პოლკოვნიკის ანატოლი სისოევის მიერ მომზადებულმა დივერსიულმა ჯგუფმა განახორციელა.

საქართველოს პრეზიდენტი ამ ფაქტით კმაყოფილი დარჩა.

**"მე ვიცი, რა რთული იყო დაკავების ოპერაცია, რომელიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მძიმე პირობებში ჩატარდა. დიდი დრო წაიღო ტერორისტული აქტის შემსრულებელთა დადგენამ და უფრო მეტი - ტერორისტების დაკავებამ,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ეს განცხადება შს მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან და ყველა იმ სამსახურების ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს გააკეთა, რომლებმაც "ქვეყნის ისტორიაში პირველი კლასიკური ტერაქტის" გახსნაში წვლილი შეიტანეს.

**"მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტში სხვა ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობა იკვეთება და ჩვენ გვაქვს ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი და ინფორმაცია, ჩვენ არ გვინდა, ეს კონფრონტაციისთვის გამოვიყენოთ. ჩვენ არ გვინდა, რუსეთთან ამ სფეროში თანამშრომლობა კონფრონტაციული გზით წავიდეს. ჩვენ გვსურს, რუსეთთან, მის შესაბამის სამსახურებთან და რუსეთის მთავრობასთან გვქონდეს სრული თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, რადგან ტერორისტებმა დაარტყეს არა მარტო საქართველოს, არამედ ეს ხალხი უდიდეს პრობლემას წარმოადგენს რუსეთისთვისაც,"** - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მედია-საბჭოს პრეზენტაცია

*ქართულ მედიაში პროფესიული სტანდარტების ამაღლება და მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობის დარეგულირება - ამ ორ ძირითად მიზანს ემსახურება მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული "მედია-საბჭო", რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" შედგა.*

**"ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერი მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ვქმნით მედია-საბჭოს, როგორც თვითრეგულირების და ანგარიშვალდებულების ორგანოს, და ვაცხადებთ:**

**დავიცავთ მედიის პროფესიული სტანდარტებით დეკლარირებულ ნორმებს;**

**რეაგირებას მოვახდენთ პროფესიული სტანდარტების უხეში დარღვევის ნებისმიერ ფაქტზე;**

გაგრძელება A3 გვერდზე



მედია-საბჭო რომ ხელისუფლების დაკვეთაა, ეს არის უსინდისო ცილისწამება, - განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ეკა კვესიტაძემ.

# "საქმის კეთებას ხელს არ უშლის, დანიშნული ხარ თუ არჩეული"

ამბობს რუსთავის მერი

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი დღეს საქართველოში ერთადერთი მოქმედი მერია, რომელიც ამ თანამდებობაზე არჩევნების გზით მივიდა, თუმცა ის თავიდან მარტო არ იყო. ქალაქის მერების პირდაპირი არჩევნები საქართველოს სამ ქალაქში - რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში 2002 წელს ჩატარდა. ქუთაისში ფალიანი საკმაოდ მალე გადადგა პოსტიდან, ბათუმმა კი არჩეული მერი - გიორგი აბაშიძე აჭარის რევოლუციას გადააყოლა.

დღეს, როცა ესოდენ აქტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა არჩევითობის საკითხი, საინტერესო უნდა იყოს ერთადერთი არჩეული მერის აზრი ამის თაობაზე.

**"მაშინ ძლიერი მერის ინსტიტუტი მხოლოდ სამ ქალაქში შეიქმნა. სამწუხაროდ, დღევანდელ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია არჩეული მერის მხარდაჭერის წესები თუ ჩვევები და ეს ერთ-ერთი ნეგატიური ფაქტორია. საზოგადოებამ თვითმმართველობასთან ერთად უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა, ამიტომ არის აუცილებელი არჩევითობის პრინციპის დანერგვა,"** - ამბობს ტყეშელაშვილი. მისი აზრით, მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღემდე არ არსებობს ნორმალური საკანონმდებლო ბაზა. მაგალითად, ვერ მოხერხდა ცენტრალური და მუნიციპალური ქონების გაყოფა. ეს კი ბევრ პრობლემას ქმნის, რადგან რეალურად ქალაქი ქონების გარეშეა და ამა თუ იმ დარგის თუ სამსახურის მართვა რთულია ორმაგი დაქვემდებარების გამო. ხოლო თუ საკანონმდებლო ბაზა შეიცვლება და დაიხვეწება, არჩევითობის და თვითმმართველიბის პრინციპი უფრო ქმედითი და შედეგიანი გახდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# სტატუსი განსაზღვრულია - მოლაპარაკებები გრძელდება

უკრაინა დნესტრისპირეთში რუსეთის ადგილის დაკავებას ცდილობს

*მოლდოვას ცენტრალურ ხელისუფლებასა და დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეგიონს შორის მოლაპარაკებებში რუსეთის ადგილს თანდათან უკრაინა იკავებს. გასულ კვირას მოლდოვას პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი დნესტრისპირეთის სტატუსის შესახებ, რომლის დებულებების დიდი ნაწილი კონფლიქტის დარეგულირების "იუშენკოს გეგმის" სახელით ცნობილი დოკუმენტიდანაა გადაღებული. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტმა 2006 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დატოვოს კონფლიქტის ზონა. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს - თვითაღიარებული რესპუბლიკა მხოლოდ ავტონომიის სტატუსს უნდა დასჯერდეს მოლდოვას შემადგენლობაში.*

გაგრძელება A5 გვერდზე




უკრაინა რუსეთს რეგიონში მთავარი მშვიდობისმყოფელის როლს ეცილება.

# მერიაში საკადრო ცვლილებები გრძელდება

*"ის არის პროფესიონალი არქიტექტორი, მას განათლება საფრანგეთში, სწორედ ურბანული დაგეგმარების კუთხით აქვს მიღებული. მე არ მინდა ვაკრიტიკო წინამორბედის პრაქტიკა, თითქოს ამ სამსახურს კარგი მენეჯერი უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ ვთვლი, რომ აქ სწორედ ის ადამიანი უნდა დაინიშნოს, რომლსაც ამ კონკრეტულ სფეროში აქვს გამოცდილება," - ასეთია თბილისის მერის გიგი უგულავას პოზიცია საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. გუშინ მან ამ სიტყვებით ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ჩხაიძე წარადგინა.*

თამარ დვალი

ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისმა მესამე მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა. თითოეულის დანიშვნისას აქცენტი მშენებლობის ნებართვის გაიოლებასა და ძველი თბილისის იერსახის შენარჩუნებაზე კეთდებოდა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. თბილისის მერმა ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხაიძე დადებითად დაახასიათა და სათანადო მითითებებიც მისცა.

**"ეს სამსახური ტრადიციულად აღიქმებოდა როგორც მონსტრი და მტერი ნებისმიერი მშენებლობისა. ჩვენ ქალაქში გვინდა ვაწარმოოთ ძალიან ლიბერალური სამშენებლო პოლიტიკა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უხარისხო ცემენტით ნაგებ, მახინჯი იერსახის სახლებს შევთავაზებთ ჩვენს მოქალაქეებს. უმნიშვნელო დეტალის დამტკიცებისას მოქალაქეებს ურთულესი გზის გავლა რომ უწევდათ, უნდა დამთავრდეს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნება ისტორიული ზონა.**

გაგრძელება A4 გვერდზე

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისევ დაიძაბა

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, გორის ტერაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკონტროლო ზონები ძალიან საშიშია. **"მინდა გავაფრთხილო ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება, რომ თავი შეიკავოს პროვოკაციებისაგან. პროვოკაციებს პასუხი გაეცემა, მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგი,"** - ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

ამის საპასუხოდ, რუსეთის საელჩომ საქართველოში კატეგორიულად გამორიცხა გორში მომხდარ ტერაქტში რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობა. როგორც საელჩოს პრესსამსახურის უფროსმა ევგენი ივანოვმა განაცხადა, რუსეთის დიპლომატიური კორპუსი საქართველოში დსთ-ს ფარგლებში და რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმებებისა და რუსეთის კანონმდებლობის სრული დაცვით მოღვაწეობს.

**"კატეგორიულად უარვყოფთ რუსეთის ოფიციალური პირების ყოველგვარ უკანონო მოქმედებაში მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიაზე,"** - აღნიშნა ივანოვმა.

მისივე მტკიცებით, რუსეთის საელჩომ საქართველოში ყურადღებით დაიწყო იმ მასალების შესწავლა, რომელიც საქართველოში რუსეთის დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელობას გორში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით საქართველოს შს მინისტრმა გადასცა.

გორის ტერაქტთან კავშირი უარყო სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმაც, რომელმაც გავრცელებულ ინფორმაციას "ბინძური ტყუილი" უწოდა.

**"საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვურჩევდი, ნამდვილი დივერსანტები ეძებოს და რუსეთის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებებს თავი დაანებოს,"** - აღნიშნა მან.

მერაბიშვილის ბრალდებებს ოფიციალური მოსკოვის რეაქცია არ მოჰყოლია. თუმცა რუსული სააგენტო "იტარ-ტასი", ინკოგნიტო წყაროზე - რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკზე, დაყრდნობით იუწყება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის გენშტაბის დაზვერვის მიერ საბოტაჟების ორგანიზების შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. **"ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა, რომელიც მოსკოვის მიმართ საქართველოს ხელისუფლების არამეგობრულ დამოკიდებულებას ასახავს. მერაბიშვილის მიერ დასახელებულ პირებს არასოდეს უმსახურიათ რუსულ არმიაში,"** დასძენს რუსეთის თავდაცვის უწყების უცნობი წარმომადგენელი.

ამასთან, რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა და რუსი პოლიტოლოგის კომენტარი გამოაქვეყნა, რომელსაც მიაჩნია, რომ გუშინდელი მოვლენა ორი ქვეყნის ურთიერთობაში ყველაზე დიდი კრიზისის მაჩვენებელია. **"ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ამჟამად იმდენად მძიმეა, რომ რუსეთს ნებისმიერი რამ შეიძლება დააბრალონ. სწორედ აქედან მოდის მინიშნებები ამერიკის პრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზებასა და გორის ტერაქტში რუსეთის მონაწილეობის თაობაზე. აპელაცია ამჟამად არა რუსეთის, არამედ დასავლეთისკენ არის მიმართული. საქართველო დასავლელ პარტნიორებს თხოვნით მიმართავს, რათა ამ უკანასკნელებმა ზეწოლა განახორციელონ რუსეთზე. თუმცა დასავლეთი უკვე ეჩვევა საქართველოს მხრიდან საჩივრებს და მათზე რეაგირებას აღარ ახდენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრობლემების მოგვარება თბილისს მოსკოვთან პირისპირ მოუწევს,"** - აცხადებს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ალექსეი მაკარინი.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭო აცხადებს

კონკურსს

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

**კანდიდატს მოეთხოვება:**

1. უმაღლესი განათლება (სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ან მენეჯმენტის დარგში.);
2. სულ მცირე ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება;
3. მართვის გამოცდილება, სასურველია მედიის სფეროში;
4. სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
5. სასურველია უცხო ენების ცოდნა.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლში მითითებული საბუთები:
   ა) წერილობითი განცხადება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;
   ბ) ავტობიოგრაფია;
   გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;
   დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
   ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ვ) შრომის წიგნაკი ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები;
   თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
   ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
2. საზოგადოებრივი მაუწყებლობის განვითარების ხედვა (სულ მცირე 500 სიტყვამდე).
3. ორი დახასიათება/რეკომენდაცია სამუშაო ადგილებიდან ან პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 23 ივლისიდან 6 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. 68, საკონტაქტო პირი ეკა კოპაძე. განცხადების, ბიოგრაფიის და კონცეფციის ელექტრონული ვერსია უნდა გაეგზავნოს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგ მისამართზე levan@crrc.ge.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი სამძიმარს უცხადებს პაატა ბოლაშვილს შვილების

**თეასა და მარიამის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, მხარის ხელმძღვანელობა სამძიმარს უცხადებს ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს პაატა ბოლაშვილს, შვილების

**თეასა და მარიამის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

# "რუსული კვალი" საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებში

პირველი გვერდიდან

**"მე დღეს ამაყი ვარ იმის გამო, რომ ნაწილობრივ მაინც მოვიხადე ვალი ტერაქტის შედეგად დაღუპული პოლიციელების წინაშე. მე ვარ ამაყი, რადგან მოვესწარი იმ დროს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, სპეცდანიშნულების რაზმები, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მაღალპროფესიონალურია დღევანდელი მსოფლიოს სპეცსამსახურებში და მათ შეძლეს ასეთი რთული ოპერაციის განხორციელება,"** - ეს განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ გორში, სამხარეო პოლიციის შენობის ეზოში, სწორედ იმ ადგილას გააკეთა, სადაც ექვსი თვის წინ მომხდარ ტერაქტს სამი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. მაშინ ტერაქტის შედეგად ოცამდე ადამიანი მძიმედ დაშავდა.

შსს-ს ინფორმაციით, 2004 წლის ივნისში რუსეთიდან ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინეს რუსეთის თავდაცვის სამინიტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მაღალჩინოსანი ოფიცერი ანატოლი ივანეს ძე სისოევი, რომელსაც დაევალა სამხრეთ ოსეთში სადაზვერვო-დივერსიულ დანაყოფის ჩამოყალიბება. ანატოლი სისოევის დავალებით, 2004 წლის ოქტომბრის თვეში ე.წ. "სორ"-ის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა ანდრეი ზასეევმა, გორში ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით, შეკრიბა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ამავე სამმართველოს თანამშრომლები: გიგო ვალიშვილი (ვალიევი), არტურ კოზაევი, ვალერი კოზაევი, გიორგი ზასეევი, ალექსანდრე (ლექსო) ბეჟანოვი, ალექსანდრე (ლექსო) ცხოვრებოვი. ტერორისტული აქტის ჩატარება შეთანხმებული იყო რუსეთიდან მოვლინებულ ინსტრუქტორ, ვინმე "იგორთან", რომელიც წვრთნიდა სპეციალურად შექმნილ ტერორისტულ დანაყოფს. შსს-ს ინფორმაციით, ოპერაციის ცენტრთან შეთანხმების მიზნით, "იგორი" 2004 წლის 10 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე იმყოფებოდა მოსკოვში, საიდანაც ცხინვალში დადებითი პასუხით და ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო ფულით დაბრუნდა.

შს მინისტრის ინფორმაციით, 17 ივლისს ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულები არიან 1 თებერვლის ტერაქტის უშუალო შემსრულებლები - გია ვალიევი და გია ზასეევი, რომლებიც ამჟამად თბილისის საპყრობილეში იმყოფებიან. გარდა ამისა, დაკავებულია აფეთქებული ავტომობილის უშუალო შემძენი იოსებ კოჩიევიც.

**"გამოძიების მიერ დადგენილია ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი და იძებნებიან - ანდრეი ზასიევი, ვალერი კოზაევი, არტურ კოზაევი, ალექსანდრე ცხოვრებოვი, ალექსანდრე ბეჟანოვი, ვლადიერ ფუხაევი. ძებნა გამოცხადებულია დანაშაულში ეჭვმიტანილ სხვა პირებზეც,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. მინისტრმა თანამშრომლებს ტერაქტის გასახსნელად გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და პროფესიონალიზმიც შეუქო.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე რუსეთის ხელისუფლებას მიმართავს, გაწმინდოს საქართველოს ტერიტორია საკუთარი აგენტურისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თარგამაძის თქმით, ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარი დივერსიული აქტებისას პასუხისმგებლობა რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს დაეკისრებათ.

**"1 თებერვლის ტერაქტის გახსნით დადასტურდა რუსეთის პირდაპირი მონაწილეობა საქართველოს შიდა კონფლიქტებში,"** - აცხადებს გივი თარგამაძე. მისივე ინფორმაციით, რუსეთის მიერ მზადდება მრავალრიცხოვანი დივერსიული ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც, დაახლოებით, 120 კაცამდეა; არსებობს, ასევე, დიდი რაოდენობით აგენტურა.

გუშინ დილით შინაგან საქმეთა სამინისტროში ვანო მერაბიშვილისა და საქართველოში რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის შეხვედრაც გაიმართა. შეხვედრის დეტალები კარგა ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. დახურულ კარს მიღმა შემდგარი 20-წუთიანი შეხვედრის შემდეგ კომენტარი არც მინისტრს და არც ელჩს არ გაუკეთებიათ. დილით შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით შემდგარი შეხვედრის მიზეზი ვანო მერაბიშვილმა მოგვიანებით გორში გაახმაურა. მინისტრის თქმით, მისმა უწყებამ რუსეთის ელჩს გადასცა საქართველოში მოპოვებული მასალები - დივერსიულ აქტებში მონაწილეებისა და რუსეთის აგენტურის შესახებ.

გუშინვე ვანო მერაბიშვილის უწყებამ გაავრცელა ოპერატიული მასალა. ვიდეოკასეტაზე გორის ტერაქტში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ვალიევის აღიარებითი ჩვენებაა ჩაწერილი - კერძოდ, გია ვალიევი აღიარებს, რომ ის რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელია და დივერსიული აქტების შესახებ მითითებებს რუსეთიდან, ვინმე იგორისგან იღებდა.

ეჭვმიტანილის თქმით, მისი დივერსიული ჯგუფის უფროსი ანდრეი ზასიევი იყო, რომელმაც ვასო კოკოევს "გაზ 2101"-ის მარკის მანქანის შესაძენად 2 ათასი დოლარი მისცა. ვასო კოკოევმა და სოსო კოჩიევმა ეს მანქანა სერიული ნომრით EEE-486 თბილისში შეიძინეს და 12 დეკემბერს ცხინვალში გადაიყვანეს. ვალიევის აღიარებით, მანქანა გრუ-ს თანამშრომლის ფუხაევის ავტოფარეხში დააყენეს, მოგვიანებით კი არტურ კოზაევის ბიძის კუთვნილ სახლში გადაიყვანეს. ვალიევის ჩვენების მიხედვითვე, ზასიევმა ავტომანქანა დაშალა, სავარძლები მოხსნა და ასეფთქებელი ნივთიერებების (ტროტილი, ჰექსოგენი, პლასტიდი) დასამონტაჟებლად ადგილი გაათავისუფლა. მოგვიანებით გორში ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილიც შეარჩიეს.

ვალიევის ინფორმაციით, მათ ტერაქტის დროულად განხორციელებას სთხოვდნენ.

**"1 თებერვალს ანდრეი ზასიევი და ვალერი კოზაევი თეთრი ფერის "ჟიგულში" ჩასხდნენ, ავტომანქანა გორში დანიშნულების ადგილზე დააყენეს და ჩვენთან, მეორე ავტომანქანაში გადმოვიდნენ, რის შემდეგაც ცხინვალის მიმართულებით წავედით. გზაში კი განხორციელებული ტერაქტის შესახებ რადიოდან შევიტყვეთ.**

**მეორე დღეს ჩვენთან იგორი მოვიდა. ის ძალიან გახარებული იყო და წარმატება მოგვილოცა. შემდეგ ათასი დოლარი მოგვცა და გვითხრა, რომ მოსკოვიდან დაურეკეს და სასწრაფოდ ჩასვლა სთხოვეს. იგორი შეგვპირდა, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რუსეთში მაღალანაზღაურებად სამსახურში მოგვაწყობდა და ბინებს მოგვცემდა. თუმცა, ამის შემდეგ იგორი აღარ გამოჩენილა,"** - აცხადებს დაკავებული.

შსს-ს ინფორმაციით, რუსეთიდან კოკოითის მრჩევლად მივლინებულმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანმა ანატოლი ივანეს ძე სისოევმა ე. წ. ოსური "ოპოლჩენიის" ბაზაზე შეარჩია და ჩამოაყალიბა, დაახლოებით, 120-კაციანი დანაყოფი, ე. წ. ოსური დაჯგუფება "სორ"-ის ე.წ. "დპს", რომლის 60 წევრი აგვისტო-სექტემბერში, რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით, სადაზვერვო-დივერსიულ მომზადებას გადიოდა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, დარიალის ხეობაში დისლოცირებულ სამხედრო ბაზაზე, რუსეთის ფედერაციის 58-ე არმიის სამხედრო პოლიგონზე.

რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, დანაყოფის წევრების მიერ 2004 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაიგეგმა და შიდა ქართლში განხორციელდა დივერსიულ-ტერორისტული აქტების სერია, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს საქართველოს ენერგოსისტემის, კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებს. "სორ"-ის ტერორისტული დაჯგუფებამ განახორციელა ტერორისტული აქტები:

2004 წლის 9 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე - 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2"-ის N365 და "ლიახვი"-ს N57 ანძების აფეთქება, რამაც საქართველოს ენერგოსისტემა მწყობრიდან გამოიყვანა;

2004 წლის 9 ოქტომბერს კასპის რაიონში "გრკალი-მეტეხი"-ს გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან მდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგურის აფეთქება;

ასევე, დაგეგმილი იყო შვეულმფრენის ჩამოგდება საზენიტო კომპლექს "იგლა"-თი, რაც ვერ განხორციელდა, ჯგუფისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

საქართველოს შს მინიტრს ვანო მერაბიშვილს იმედი აქვს, რომ რუსული მხარე ქართველ კოლეგებს 1 თებერვლისა და სხვა ტერაქტების დამგეგმავებისა და მონაწილეების დაკავებასა და საქართველოსთვის გადმოცემაში დაეხმარება - ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც არ შეუშლის.

*24 საათი*

# არუთინიანის დედას ჟურნალისტებთან ურთიერთობა აეკრძალა

FBI-ის სპეციალურმა ჯგუფმა 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილ ვლადიმერ არუთინიანის კუთვნილი სარდაფის დათვალიერება გუშინ განაახლა. FBI-ის თანამშრომლებმა არუთინიანების სარდაფის შესწავლა გუშინწინ, დილის თერთმეტი საათიდან დაიწყეს და საღამოს რვა საათზე დაასრულეს. ისევე, როგორც გუშინწინ, გუშინაც მათ შემთხვევის ადგილი კომენტარის გარეშე დატოვეს.

აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტების მიერ ვლადიმერ არუთინიანის დედის ანჟელა არუთინიანის დაკითხვის დეტალები ჯერჯერობით კვლავ გასაიდუმლოებულია. ეჭვმიტანილის დედას ჟურნალისტებთან კონტაქტი კატეგორიულად აეკრძალა. რამდენიმესაათიანი საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ანჟელა არუთინიანი დუმს.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავად ეჭვმიტანილი უკვე მზადაა, გამოძიებას ჩვენება მისცეს. ვლადიმერ არუთინიანი ჯერჯერობით კვლავ რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში რჩება. მისი მკურნალი ექიმების განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა თერაპიულ მეთვალყურეობას კვლავ საჭიროებს.

FBI-ს წარმომადგენლებმა არუთინიანის სარდაფიდან გუშინ რამდენიმე დალუქული ყუთი წაიღეს. ჯერჯერობით უცნობია, რამ მიიქცია მათი ყურადღება ეჭვმიტანილის სარდაფში.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ ტელეფონებზე
დარეკეთ ფიქსირებული ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-10-0+ მობილური ოპერატორის კოდი (99,77,93)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-10-0+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-10
ისარგებლეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## მოკლედ

### სულხან მოლაშვილი პატიმრობაში რჩება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მანუჩარ კაპანაძემ არ დააკმაყოფილა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატების მოთხოვნა მათი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლების თაობაზე. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ინტერესების დამცველებმა, პროცესუალური ვადების დარღვევის გამო, მოლაშვილის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა პირველსავე გამწესრიგებელ სხდომაზე დააყენეს.

სულხან მოლაშვილის დამცველები ირწმუნებიან, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე 2005 წლის 22 იანვრიდან უკანონო პატიმრობაშია, რადგან ამ დროისთვის ამოიწურა, ბრალდებულის სახით, პირის დაკავებისათვის დადგენილი საბოლოო ვადა. ადვოკატთა ამ მოთხოვნას ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა. მათი პოზიცია გაიზიარა მოსამართლემაც.

მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მოლაშვილი კვლავ პატიმრობაში რჩება, გუშინდელ სასამართლო პროცესზე დიდი ხმაური მოჰყვა. ადვოკატ შალვა შავგულიძის განცხადებით, **"პრაქტიკულად, მოსამართლემ თავის განჩინებაში დააფიქსირა, რომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, მოლაშვილის სამართალში მიცემის შესახებ და უარი განუცხადა ადვოკატებს თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. პროკურატურას გამწესრიგებელ სხდომაზე ამგვარი შუამდგომლობა საერთოდ არ დაუყენებია და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ მოსამართლემ ბუნებაში არარსებული მოთხოვნა დააკმაყოფილა, რომლის მსგავსი სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა",** - აცხადებს სულხან მოლაშვილის ინტერესების დამცველი. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატების განცხადებით, მოსამართლე მიხვდა, რომ ადვოკატების მიერ გამწესრიგებელ სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობას თუ არ დააკმაყოფილებდა, მაშინ განსასჯელის დამცველებს კიდევ რამდენიმე მოთხოვნა ექნებოდათ და მოსამართლემ სწორედ ამიტომ დატოვა სასამართლოს დარბაზი განჩინების გამოცხადებისთანავე.

**"თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში დარბაზში მხოლოდ მოსამართლე და ბრალდების მხარე დარჩებიან",** - მხოლოდ ამ სიტყვების თქმა მოასწრო განსასჯელმა სულხან მოლაშვილმა. ის სასამართლო დარბაზის გალიიდან ბადრაგმა სასწრაფოდ გაიყვანა, ისე, რომ ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთების საშუალება არ მისცა. ერთი სიტყვით, სულხან მოლაშვილი პატიმრობაში რჩება და მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა რამდენიმე დღეში დაიწყება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისში 600 აბონენტს დროებით შეუწყდება სატელეფონო კავშირი. "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" გაითვალისწინა დედაქალაქში გზების რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობა და დაგეგმა მაღალი ტევადობის კაბელის ჩადება თბილისის ცენტრალურ უბანში. ამის გამო, 25 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით, სატელეფონო კავშირი დროებით შეუწყდება შატბერაშვილის, ქუთათელაძის, ქობულეთის, მარაბდის, შროშის, მცხეთის, ნაწილობრივ ჭავჭავაძის გამზირისა და ერისთავის ქუჩების მცხოვრებლებს, ინდექსებით: 22; 23; 25; 29; 91. **24 საათი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 აგვისტოს საქართველოში სომხური სიგარეტის ქარხანა გაიხსნება. ამის შესახებ ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა პარლამენტის თავმჯდომარესა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, სომეხმა ბიზნესმენმა საქართველოში შეიძინა სიგარეტის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც გლდანის რაიონში მდებარეობს და 4 მილიონი დოლარის ინვესტიცია დააბანდა. ჯუღელის ინფორმაციით, ქარხანა სომხურია თუმცა, დისტრიბუციას ქართული მხარე განახორციელებს. სიგარეტის წარმოებისთვის ნედლეული სომხეთიდან შემოვა. მისი თქმით, ქარხანა 32-მდე დასახელების სიგარეტს გამოუშვებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის დეპარტამენტმა საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორების სია გამოაქვეყნა. პარტნიორთა ათეულში კვლავ რუსეთი ლიდერობს, მეორე ადგილზეა თურქეთი, ხოლო მესამე ადგილზე - აზერბაიჯანი. უკრაინასა და გერმანიას მე-4 და მე-5 ადგილები უკავიათ. ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა და ექსპორტ-იმპორტის მონაცემები თითქმის ერთნაირია. მე-6 ადგილზეა გაერთიანებული სამეფო, მე-7-ზე - ბულგარეთი, ხოლო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატები სავაჭრო პარტნიორთა სიაში მე-8 ადგილზეა. მე-9 ადგილზეა სომხეთი, მეათეზე - თურქმენეთი. ძირითად საექსპორტო პროდუქციად კვლავ რჩება შავი ლითონების ჯართი, რაც მთლიანი ექსპორტის 14 პროცენტს შეადგენს. შემდეგ პოზიციებზეა ფეროშენადნობები, საფრენი აპარატები, ნატურალური ღვინოები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები. ძირითად საიმპორტო პროდუქციას წარმოადგენს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რაც იმპორტის 12.8 პროცენტს შეადგენს. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ნავთობის აირები და შაქარი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მედია-საბჭოს პრეზენტაცია

პირველი გვერდიდან

**განვიხილავთ მოქალაქეებისგან შემოსულ საჩივრებს მედიის მიერვე აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების საფუძველზე;**

**დავიცავთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს;**

**ხელს შევუწყობთ სარედაქციო დამოუკიდებლობასა და ჟურნალისტთა პროფესიულ თავისუფლებას;**

**დავიცავთ მედიის ინტერესებს ხელისუფლებასთან ურთიერთობისას;**

**დავეხმარებით ჟურნალისტებს თავი პროფესიონალური გუნდის წევრებად იგრძნონ და სოლიდარობა გამოუცხადონ ერთმანეთს;**

**ხელს შევუწყობთ საზოგადოების ინფორმირებას, თუ რას ნიშნავს პატიოსანი, ობიექტური და მიუკერძოებელი მედია,"** - ამ შინაარსის კომუნიკეს გუშინ 9 ნაციონალურმა და 11-მა რეგიონულმა მედია-სუბიექტმა მოაწერა ხელი.

"მედია-საბჭოს" დამფუძნებლები არიან ტელეკომპანიები - "რუსთავი 2", "მზე", "იმედი", "202" და "საზოგადოებრივი ტელევიზია", გაზეთები - "24 საათი" და "მესინჯერი", 10-ზე მეტი რეგიონული მედიაორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაციები - "თავისუფლების ინსტიტუტი", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "კავკასიური ინსტიტუტი".

**"მედია-საბჭო" მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მედიის მიერ პროფესიული სტანდარტების დაცვას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების რეალიზებას, ჟურნალისტთა პროფესიულ თავისუფლებას, ხელისუფლებასთან ურთიერთობაში მედიის უფლებების დაცვას. ასევე, ჩვენი მიზანი იქნება, საზოგადოების დაცვა ჟურნალისტთა არაპროფესიონალიზმისგან და პროფესიული ნორმების უხეში დარღვევის დაგმობა,"** - განაცხადა "მედია-საბჭოს" მხარდამჭერი პროექტის ხელმძღვანელმა ეკა კვესიტაძემ. **"თუ ჩვენ დავიცავთ სტანდარტებს, ჩვენით მანიპულირება ხელისუფლებას გაუჭირდება,"** - აღნიშნა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა, ჟურნალისტმა თამარ კინწურაშვილმა.

ეკა კვესიტაძემ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ახალი ჟურნალისტური გაერთიანება ხელისუფლების დაკვეთით არის შექმნილი, **"უსინდისო და ამორალური ბრალდებაა, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია."** როგორც ეკა კვესიტაძემ აღნიშნა, ეს არის ორგანო, რომელიც მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ მედია-საშუალების წარმომადგენელს, რომელიც მედიის მიერვე აღიარებულ ეთიკურ ნორმებს არღვევს. **"აქ საუბარი არ არის ფინანსურ სანქციებზე. მედია-ორგანიზაცია, რომელიც აღიარებულ სტანდარტებს დაარღვევს და საზოგადოებას ცრუ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას აწვდის, ვალდებულია ბოდიში მოიხადოს. მკითხველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელ გაზეთს წაიკითხავს,"** - აღნიშნა კვესიტაძემ.

როგორც გუშინ აღინიშნა, "მედია-საბჭოს" კარი ყველა მედია-ორგანიზაციისთვის ღიაა. დამფუძნებლის სტატუსით ორგანიზაციაში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება 29 ივლისამდე გაგრძელდება, 5 აგვისტომდე კი დამფუძნებლებმა გამგეობის წევრთა კანდიდატურები უნდა დაასახელონ.

"მედია-საბჭო" რეგისტრირებულია ფონდის სტატუსით და მას "ღია საზოგადოება - საქართველო" აფინანსებს.

*24 საათი*



*"ახალი ვერსიის" გამომცემელმა მალხაზ რამიშვილმა მედია-საბჭოს შექმნის ინიციატივა დასაწყისშივე ეჭვქვეშ დააყენა, რადგან მედია-საბჭოს შემადგენლობაში, მისი აზრით, შედიან ის ადამიანები, რომლებიც ქართული მედიის არაპროფესიონალიზმზე აკეთებენ აქცენტს. ამით მან იმ გაზეთების აზრი გამოხატა, რომლებმაც უარი თქვეს მედია-საბჭოს დამფუძნებლობაზე.*







# ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი და აფხაზეთის ხედი

*200 ლარის ღირსების ბანკნოტზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი და აფხაზეთის (სავარაუდოდ, სოხუმის) ხედი იქნება გამოსახული. ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვის კომისიამ 25 ივლისს გამართულ სხდომაზე მიიღო.*

კომისიის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განცხადებით, ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ეკონომიკის ყველაზე წარმატებული პროექტების ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ. **"ეს იყო მოაზროვნე, რომელიც ჯერ კიდევ 100 წელზე მეტი ხნის წინ საქართველოს განვითარების ერთადერთ სწორ გზად ევროპასთან ინტეგრაციას მიიჩნევდა. მისმა ოცნებამ ხორცი XXI საუკუნეში შეისხა,"** - აღნიშნა რომან გოცირიძემ.

ნიკო ნიკოლაძე სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა ფოთის ნავსადგურის, ჭიათურის მანგანუმის, ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ტყიბულის ქვანახშირის, გროზნო-ფოთის ნავთობსადენის, თბილისის წყალსადენისა და სხვა პროექტებს. ციურიხის უნივერსიტეტში მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი სამეცნიერო ნაშრომისათვის: "განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები."

200 ლარის ნომინალის ბანკნოტის რევერსზე აფხაზეთის, სავარაუდოდ, სოხუმის ხედი იქნება გამოსახული. **"აუცილებელია გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ამდენად, ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ აფხაზეთში კონფლიქტის დროულად მოგვარებას. ქართულ ბანკნოტზე აფხაზეთის ხედის გამოხატვა იმის ნიშანიცაა, რომ აფხაზეთი სამშობლოა როგორც ქართველების, ასევე აფხაზებისათვის და იქ ჩვენმა ხალხებმა ერთად უნდა იცხოვრონ,"** - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკი 200 ლარის ღირსების ბანკნოტის დიზაინის შემუშავებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს. მასში მონაწილეობის მიღების საშუალება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ დიზაინერებსაც ექნებათ. ახალი ბანკნოტის მიმოქცევაში გაშვება მომავალი წლის ბოლოს მოხდება.

შეგახსენებთ, რომ 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესამუშავებლად საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა, შეკითხვით - **რომელი საზოგადო მოღვაწის პორტრეტი უნდა გამოისახოს 200 ლარის ნომინალის ბანკნოტზე?** 2005 წლის 25 ივლისის 13.00 საათისათვის გამოკითხულია 2588 რესპონდენტი (2190 სატელეფონო, ხოლო 277 ანკეტირების ფორმით). შედეგად ნიკო ნიკოლაძეს ხმა მისცა 454-მა, ექვთიმე თაყაიშვილს 443-მა, ვაჟა-ფშაველას 439-მა, გალაკტიონ ტაბიძეს 377-მა, დიმიტრი ყიფიანს 254-მა, ძმებ ზუბალაშვილებს 153-მა, დავით სარაჯიშვილს 137-მა, ერეკლე მეორეს 80-მა, დავით გურამიშვილს 69-მ, ნიკო მუსხელიშვილს 63-მა, ვახტანგ გორგასალს 25-მა, ილია ვეკუას 21-მა, გიორგი სააკაძეს 14-მა, ხოლო სხვა საზოგადო მოღვაწეს 59-მა პიროვნებამ.

*24 საათი*

# კრიმინალთან ბრძოლა აფხაზურად

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა კმაყოფილება გამოთქვა აფხაზეთისა და რუსეთის სამართალდამცავებს შორის რეალური კონტაქტების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და პროკურატურა მზად არიან აფხაზ კოლეგებთან თანამშრომლობისთვის. აფხაზურ მხარესთან კონტაქტი, ძირითადად, სამხრეთ რუსეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს ექნებათ. აფხაზეთის პრეზიდენტის თქმით, ასეთი კონტაქტები პრინციპულად აუცილებელია, ვინაიდან რუსეთისა და აფხაზეთის სამართალდამცავ სისტემებს შორის ურთიერთკავშირის დღემდე არარსებობის გამო, მნიშვნელოვნად იყო გაძნელებული დანაშაულების გახსნა და თავიდან აცილება.

"ჩვენ, შეიძლება, სხვადასხვა კრიმინალური ელემენტების ერთგვარ ნაკრძალად ვიქცეთ. იქ ისინი დანაშაულს ჩადიან, აქ კი დასამალად ჩამოდიან. აქამდე არ გვქონდა ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა, რათა წინ აღვდგომოდით ამას," - განაცხადა ბაგაფშმა.

როგორც ჩანს, ამიერიდან აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები რუს კოლეგებთან ითანამშრომლებენ რუსეთში გაქცეული აფხაზი დამნაშავეების დაკავების საკითხში. ასეთი ერთობლივი მუშაობის ტექნიკური დეტალები ჯერ ისევ შეთანხმების პროცესშია, ამასობაში კი ბაგაფშმა აფხაზეთის სამართალდამცავ სტრუქტურებზე ახალი შეტევა წამოიწყო. შინაგან საქმეთა კოლექტივთან 15 ივლისს გამართული შეხვედრის დროს, პრეზიდენტმა მათი მუშაობა მკვეთრი ფორმით გააკრიტიკა და განაცხადა, რომ "თუ მუშაობაში სერიოზული წინსვლა არ მოხდება, შემდეგი საუბარი სხვა ტონალობაში წარიმართება".

თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში კი მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე საუბრობენ. მათი თქმით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე დანაშაულობების გახსნის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სიტუაცია ნარკოტიკებთან ბრძოლის სფეროში, დამსვენებლების მიმართ ჩადენილი დანაშაულობების უმრავლესობა გახსნილია, ბოლო ორ თვეში განადგურდა მარიხუანას რამდენიმე პლანტაცია და ა.შ. ამიტომ, მილიციაში ბევრს მიაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ სახელმწიფოს მეთაურის მკვეთრი ტონი განპირობებულია მილიციის კიდევ უფრო ეფექტურად საქმიანობის სურვილით.

სხვათა შორის, ოთარ ხეციას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნისას, მხოლოდ ექვსთვიანი ვადა მიეცა იმისთვის, რომ მილიციის მუშაობის რეორგანიზება მოეხდინა. ორ თვის შემდეგ ეს ვადა ამოიწურება, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ხეციას დატოვების პერსპექტივაზე არც პრეზიდენტი და არც პრემიერ-მინისტრი დღემდე კომენტარს არ აკეთებენ.

ამასთან, საზოგადოებაში იზრდება უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ხაზინის ქურდობაში შემჩნეული წინა ხელისუფლების ჩინოვნიკები, აგრეთვე ამავე ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები, რომლებიც ე.წ "კრიმინალურ ბიზნესს" ეწეოდნენ, სათანადოდ არ დასჯილან. დღეს ისინი, ძირითადად, ოპოზიციაში არიან და მათი საქმიანობა, პრეზიდენტის განცხადებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ძალიან აღიზიანებს. ამ გარემოებებზე განსაკუთრებული აქცენტი მას შემდეგ გაკეთდა, რაც აფხაზეთში ჩამოვიდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნოდარ ხაშბას ყოფილი თანაშემწე ამირან ლაგვილავა.

რიგორც იტყობინებიან, ეს უკანასკნელი ამჟამად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს და აფხაზეთს ერთ-ერთი რუსი ჩინოვნიკის თანმხლების რანგში ეწვია. ამასთან, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ მთავრობამ გამოაქვეყნა მონაცემები იმ ფულადი სახსრების მასშტაბური დატაცების შესახებ, რომლებიც ამ მოღვაწის ხელში გადიოდა. როგორც ამბობენ, პრემიერის თანაშემწედ მუშაობის ორთვიან პერიოდში პირადად ლაგვილავამ 60 ათასი დოლარი მიითვისა.

აფხაზეთში მისი ჩამოსვლის კომენტირებისას, პრეზიდენტმა ბაგაფშმა აღნიშნა, რომ ლაგვილავას ახალი სამსახური არანაირად არ იმოქმედებს აფხაზეთში მის მიმართ არსებულ შეხედულებებზე. ბაგაფშმა, ასევე, მიანიშნა, რომ მისი ამგვარი სტუმრობები მომავალში სასურველი არ არის.

ლაგვილავას მსგავსი ადამიანების მიმართ ხელისუფლების მკაფიო დამოკიდებულების არარსებობა საზოგადოებას აღაშფოთებს. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ბაგაფშმა განაცხადა: "ჩვენ ვაპატიეთ ამ ადამიანებს, რათა საზოგადოებაში სტაბილური მდგომარეობა ყოფილიყო". თუმცა, პრეზიდენტის შემდგომი გამონათქვამები იმის მანიშნებელია, რომ თავად ამ ადამიანებმა კეთილი ჟესტი არ დააფასეს და ისინი ხელისუფლებაზე ძალიან ნეგატიურად საუბრობენ. ამიტომ, ბაგაფში აცხადებს, რომ მათი საქმეების გადასინჯვისა და დასჯის საკმაოდ ცხადი პერსპექტივა არსებობს.

სინამდვილეში, ამ ადამიანებთან ხელისუფლების დამოკიდებულება სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება. მათი საქმეების სერიოზული გამოძიება არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ არსებობენ დამნაშავეები და არ არსებობს სასჯელი. ამდენად, ამნისტიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მათი "შეწყალების" გადაწყვეტილება ახალი ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ნების ჟესტია. როდესაც ამ ადამიანთა დიდი ნაწილი ოპოზიციის ლიდერი ხდება, ხელისუფლებას ეს აღიზიანებს და მათი დასჯით იმუქრება. საზოგადოება კი, რომელმაც ახალ პრეზიდენტს მისცა ხმა, კრიმინალური ბიზნესის მქონე ადამიანების დასჯას ითხოვდა. რადგან ასე არ მოხდა, ეს კიდევ ერთი საბაბია ხელისუფლების გასაკრიტიკებლად.

## აამჭრელებენ ბათუმის სკოლებსაც?

ჯაბა ანანიძე
*ბათუმიდან*

ბათუმის ყველა სკოლაში საფუძვლიანი რესტავრაცია პირველი ივლისიდან დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს. აჭარის განთლების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლების მასშტაბური შეკეთება 15 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს. თუ რა ფერებში შეღებავენ აჭარის სკოლებს, ეს ჯერ არ გადაუწყვეტიათ. მთლიანად იცვლება ინტერიერი და მატერიალური ბაზა: საკლასო ოთახები, კარ-ფანჯრები, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები. და, რაც მთავარია, მონტაჟდება ახალი გასათბობი სისტემები. როგორც ცნობილია, ზამთარში სკოლების გათბობა ყოველთვის პრობლემური იყო და შეშის ღუმელებზე იყო დამოკიდებული. **"ბათუმის ყველა სკოლაში, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს არიან ცენტრალური გაზის სისტემასთან, შეიყვანენ ბუნებრივ გაზს, ხოლო სადაც ეს არ ხერხდება, მათ შორის რაიონებში, იქ დიზელის საწვავზე მომუშავე გასათბობ სისტემებს დაამონტაჟებენ"** - აცხადებს განათლების მინისტრის მოადგილე მერაბ კარანაძე.

სამინისტროს ინფორმაციით, სექტემბრამდე უნდა დასრულდეს სკოლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბება, ხოლო დირექტორის მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა ყველა სკოლაში, განათლების სამინისტროს თუ რაიონული განყოფილებების მიერ უხმაუროდ დასრულდა.

## დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაციის კომისია მუშაობას აგრძელებს

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, გუშინ, დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაციის საკითხთა შემსწავლელმა კომისიამ, რიგით მეოთხე სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანი იყო სამოქმედო გეგმისა და იმ ღონისძიებათა ნუსხის შემუშავება, რის მიხედვითაც, სამოქმედო გეგმის პრეზიდენტთან წარდგენის შემდეგ, "თურქი მესხების" საქართველოში დაბრუნება მოხდება.

კომისიის წევრთა განცხადებით, ამ ეტაპზე აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობა მესხების გასახლებაზე, დასაჩქარებელია კანონის მიღება რეპატრიაციის შესახებ. გარდა ამისა, საჭიროა დაფინანსება მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

"თურქ-მესხთა ჩამოსახლების კონკრეტულ ვადაზე საუბარი ნაადრევია, ეს არის პროცესი და ის ეტაპობრივად განხორხციელდება. ევროსაბჭო საქართველოს ახსენებს ე.წ. "თურქი-მესხების" ჩამოსახლების ვალდებულებას, ხოლო სად და როგორ დავასახლებთ, ეგ უკვე საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედის. ისინი დასახლდებიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, არა კომპაქტურად, რათა მოხდეს მათი შერწყმა ქართულ კულტურასა და ტრადიციებთან", - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

*რუსუდან ველიჯანაშვილი*
*ოთარ მაჭარაშვილი*

## "თბილგაზს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

*თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანია "თბილგაზს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს. თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ კომპანიის თანამშრომლებს ამ პოსტზე გია გვიჩიანი წარუდგინა. სხვათა შორის, უგულავამ ამ გადაწყვეტილებით კომპანიის მმართველი "ახალი მენეჯმენტის" წინადადება არ გაითვალისწინა. "ახალი მენეჯმენტი" ამ პოსტზე კომპანიის დროებით მმართველს მოიაზრებდა.*

ახალმა გენდირექტორმა თბილისის მერისაგან დედაქალაქის უწყვეტი გაზმომარაგების და აბონენტებისაგან მიწოდებული გაზის საფასურის ამოღების დავალება მიიღო. თავის მხრივ თბილსის მერი გვიჩიანს ბუნებრივი აირის მომწოდებელ რუსულ კომპანია "გაზექსპორტთან" ურთიერთობებში დახმარებას დაჰპირდა.

გია გვიჩიანმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ენერგეტიკა მისთვის ახალი სფერო არ არის. წლების განმავლობაში კომერციულ მენეჯერად მუშაობდა "თელასში", რომლის რამდენიმე წლის წინანდელი პრობლემები, ჰგავს "თბილგაზის" წინაშე დღეს არსებულ პრობლემებს.

სხვათა შორის, გვიჩიანს თავის დროზე, სწორედ "თელასის" სტრუქტურაში მუშაობისას, სამართალდამცველებთან საკმაოდ რთული პრობლემებიც შეექმნა. კერძოდ, 2003 წლის მაისში პროკურატურა მას ფინანსური მაქინაციების შედეგად "თელასისათვის" 3 მილიონი ლარის ოდენობის ზარალის მიყენებას ედავებოდა. თუმცა, მაშინ "ეი-ი-ეს თელასმა" განმარტა, რომ კომპანიას გვიჩიანის ქმედებისაგან ზარალი არ მიუღია. ეს ფაქტი გაითვალისწინა სასამართლომ, ეჭვმიტანილის სახით დაკავებული გვიჩიანი გაამართლა და ციხიდან გამოუშვა.

ამჯერად, "თბილგაზის" ახალმა ხელმძღვანელმა თქვა, რომ მისი მთავარი მიზანია აბონენტებს გაზი უწყვეტად მიეწოდოს და თანამიმდევრული სერვისი შესთავაზოს. "თუმცა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოხმარებული აირის საფასური უნდა გადაიხადოს," - განაცხადა გვიჩიანმა. მისი თქმით, კომპანიაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და საკადრო გადაადგილებები მხოლოდ კონკურსის საფუძველზე მოხდება.

"თბილგაზს" ორი თვის განმავლობაში გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია შაშვიაშვილი მართავდა. მანამდე კომპანიას დავით მორჩილაძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა და რუსული "გაზექსპორტის" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელად იქცა.

*24 საათი*

## ექსპერიმენტული გზა რიკოთის უღელტეხილზე

### გზების დეპარტამენტმა მარილს ალტერნატივა მოუძებნა

*საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, რიკოთის უღელტეხილთან ახლი ტექნოლოგიით, "გრიკოლის" გამოყენებით დაგებული გზა თვითონ გაუმკლავდება ყინვასა და თოვლს და მძღოლებს უსაფრთხო გადადგილებაში დაეხმარება.*

ეს მეთოდი როსდორნის ინსტიტუტის ბაზაზეა დამუშავებული და ფართოდ არის დანერგილი ევროპის მრავალ ქვეყანაში. საქართველოში "გრიკოლის" გამოყენებით გზის საფარის განახლება პირველად ხორციელდება. თუ ექსპერიმენტი გაამართლებს და ზამთარში, ჩვენი კლიმატის პირობებში, ამ ტიპის გზის ეფექტურობა დადასტურდება, "გრიკორის" გამოყენება უღელტეხილებზე მომავალში ფართოდ დაინერგება. დღეისათვის ექსპერიმენტული ასფალტის საფარი იგება რიკოთის უღელტეხილზე გამავალ 7 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც განსაკუთრებით რთულია ზამთარში, დაბალი ტემპერატურის პირობებში გზაზე უსაფრთხო მოძრაობა.

ახალი ტექნოლოგიის მიხედვით, ასფალტბეტონის შემადგენლობაში მინერალური შემავსებლის ნაცვლად გრიკოლისზტიპის მარილოვანი დანამატი შეჰყავთ.

გრიკოლი საშუალებას იძლევა ყინულის წარმოქმნა სრულად შეაჩეროს 0-დან - 5 გრადუს ტემპერატურაზე; ასევე, მნიშვნელოვნად შეამციროს ან მთლიანად შეაჩეროს ყინულის ან თოვლის გროვის მიკვრა გზის საფარზე, უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებშიც.

აღნიშნული ტიპის გზა გამართლებულია როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიურობის თვალსაზრისითაც. ზამთრის პერიოდში გზის სისტემატურ წმენდასთან დაკავშირებული ხარჯები მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო "გრიკოლის" გამოყენების ხარჯები უმნიშვნელოა.

ყინვისსაწინააღმდეგო გზის საფარის გარდა სიახლეს წარმოადგენს გზის საფუძვლის მოწყობის ტექნოლოგიაც. საფუძვლის მოწყობა ცივი რეციკლირების მეთოდით, ითვალისწინებს არსებული ასფალტობეტონის საფარის დაშლას ფრეზირების, ასფალტობეტონის გრანულიატის და ღორღის ახალი მასის დამატებით. ადგილზე ხდება ცემენტის, ბიტუმის ემულსიისა და სხვა კომპონენტების არევა, ამ ნარევის დატკეპნის შემდეგ სწორდება გრძივი და განივი პროფილი. ცივი რეციკლირების ტექნოლოგიით მიიღება განსაკუთრებით მტკიცე და სწორი საფუძვლის ფენა. ამ მეთოდით გზის საფუძვლის მოწყობა საქართველოში ახალი დანერგილია.

ახალი ტექნოლოგიით ასფალტობეტონის დაგების სამუშაოებს აწარმოებს შპს "გზამშენი-5". საპროექტო სამუშაოები შესრულდა ინსტიტუტ ტრანსპროექტში. პროექტის ღირებულება 3 მილიონ 500 ათასი ლარია და ის მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

*24 საათი*

## "საქმის კეთებას ხელს არ უშლის, დანიშნული ხარ თუ არჩეული"

პირველი გვერდიდან

**"რაც შეეხება არჩევითობას და პოლიტიკურ მხარდაჭერას, რა თქმა უნდა, კარგია, როცა პოლიტიკური მხარდაჭერა გაქვს, მით უფრო ამ გარდამავალ ეტაპზე. ამ შემთხვევაში, უბრალოდ, აუცილებელია თანაცხოვრების პრინციპის ჩამოყალიბება - არ შეიძლება, რომ ქალაქის ან რომელიმე რაიონის ხელმძღვანელობას პარტიულობის ნიშნით რაიმე პრობლემა შეექმნას. შესაძლებელია არსებობდეს ზემოქმედების რაღაც გარკვეული ბერკეტებიც, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. დღეს ჩვენთვის მთავარია, რომ საქმე გაკეთდეს, რათა საზოგადოების დაკვეთა შესრულდეს. მერს უნდა ჰქონდეს ყველანაირი პირობა იმისათვის, რომ ეს ეს დაკვეთა განახორციელოს,"** - მერაბ ტყეშელაშვილის ეს სიტყვები არის მინიშნება იმ პრობლემაზე, რომელიც დღეს რუსთავის "არანაციონალ" მერს ექმნება, თუმცა ის ამბობს, რომ პოსტრევოლუციურ საქართველოში მას საქმის კეთების უკეთესი პირობები აქვს.

**"ჩემი მუშაობის სტილი და პრინციპი არ შეცვლილა, მაგრამ რევოლუციის შემდგომ პერიოდში დახმარება ცენტრალური ხელისუფლებიდან ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში, რა თქმა უნდა, უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა პერიოდებში. არ აქვს მნიშვნელობა, რითია ეს გამოწვეული, კარგი ადმინისტრირებით, თუ დამატებითი შემოსავლების გაჩენით, ეს ფაქტია. დღეს რუსთავს ცენტრალური ბიუჯეტიდან გზების მოწესრიგებისათვის მიღებული აქვს 2 მილიონიანი ტრანსფერი, გარდა ამისა მუშაობს მსოფლიო ბანკის პროექტიც და ქალაქში დაახლოებით 4 მილიონი ლარის ღირებულების საქმე კეთდება,"** - ამბობს ჯერჯერობით ერთადერთი არჩეული მერი და დასძენს, რომ საქართველოსთვის ამ გარდამავალ ეტაპზე პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, არჩევითობის რომელი წესი იქნება გამოყენებული:



მერაბ ტყეშელაშვილი: "ჩემი მუშაობის სტილი და პრინციპი არ შეცვლილა".

**"ადრე თუ გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენ მაინც მივალთ პირდაპირი წესით არჩევნებამდე. რა თქმა უნდა, კარგია, როცა გუნდური პრინციპი მუშაობს, როცა ხელისუფლებისგან მხარდაჭერას გრძნობ და როცა საზოგადოებაც გვერდით გიდგას. ჩემი გამოცდილებით, საქმის კეთებას ხელს არ უშლის, დანიშნული ხარ თუ არჩეული, მთავრია, საქმე აკეთო. ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი ისედაც არსებობს, ამიტომ საქმეს ყველა შემთხვევაში გააკეთებ, პირდაპირი წესით იქნები არჩეული თუ არაპირდაპირით. მიმაჩნია, რომ გარდამავალ ეტაპზე შეიძლება საკრებულოდან მერების არჩევა, თუმცა საბოლოოდ მაინც პირდაპირი წესით არჩევნებამდე უნდა მივიდეთ."**

## მერიაში საკადრო ცვლილებები გრძელდება

პირველი გვერდიდან

**ბუნებრივია, იქ ჩვენი მიდგომა იქნება განსხვავებული, რადგან ეს არის ქალაქის სიამაყე,"** - ასეთი ხასიათისაა თბილისის მერის დირექტივები, რომელიც მან თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ახალ ხელმძღვანელს მისცა.

უგულავას თქმით, მერიაში, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ურბანულ სამსახურთან დაკავშირებული საჩივრები შედიოდა. **"ყველაზე მეტი მომჩივანი ამ სამსახურს ჰყავდა. სამწუხაროდ, ყველაზე სწრაფად ყველანაირ ბარიერს ის მშენებლები გადიან, რომლებიც თითით საჩვენებელ სიმახინჯეებს აშენებენ. წითელი ხაზების დამტკიცებასთან დავშირებული პრობლემების გამო, დღემდე ერთი სახელმწიფო უწყება სთხოვს მეორეს, რომ დაეხმაროს საქმის წინ წასაწევად. როდესაც კერძო მენაშენე რაღაც მომსახურებას იღებს გაცილებით მალე, ვიდრე სახელმწიფო უწყება, ჩნდება ეჭვი, რომ რაღაც არასწორად კეთდება. ეს არის ის მოთხოვნები, რაც ამ სამსახურის მიმართ მაქვს,"** - აღნიშნა უგულავამ. ახალ მერს არც მისი წინამორბედის მიდგომა მოსწონს. მისი აზრით, არქიტექტურის სამსახურს კარგი მენეჯერი კი არა, პირიქით, პროფესიონალი არქიტექტორი უნდა ხელმძღვანელობდეს.

კითხვაზე, დარჩებიან თუ არა თავიანთ თანამდებობებზე ურბანული სამსახურის უფროსის მოადგილეები, თბილისის მერმა გვიპასუხა, რომ ამ საკითხს ახალი უფროსი გადაწყვეტს, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ჩხაიძის სამივე მოადგილეს განცხადება უკვე დააწერინეს. ურბანული სამსახურის ახალი უფროსის სამომავლო გეგმები კი ასე გამოიყურება : **"ქალაქის სივრცითი განვითარების პოლიტიკას გავყოფ ორ ძირითად ნაწილად: ერთი შეეხება მთლიანად ქალაქის სივრცით განვითარებას, მეორე კი ამ სამსახურის ფუნქციონირების სისტემას და მის ჩამოყალიბებას. მუშაობისას, ძირითადად, ევროპულ პრინციპებს დავეყრდნობი. ეს სამსახური მზად უნდა იყოს ინვესტიციების მოსაზიდად. რაღაც ბიუროკრატიული ლაბირინთებისა თუ გულგრილობის გამო აქ აღარ უნდა იყოს შეფერხებები. რაც შეეხება უკანონო მშენებლობებს, ეს შეიძლება ორნაირად გავიგოთ. პირველი, როდესაც მენაშენეს არ აქვს ნაბართვა და მეორე, როდესაც რაღაც ნორმების დარღვევით შენდება. ამ საკითხს, ბუნებრივია, მარტო მე ვერ გადავწყვეტ, აქ უნდა ჩაერთოს სხვა სამსახურებიც, იქნება ეს არქმშენინსპექცია თუ სხვა,"** - განაცხადა თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ახალმა უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ.

ახალი უფროსის მოსვლამდე, ურბანულ სამსახურს გიორგი ასათიანი ხელმძღვანელობდა. იგი თანამდებობიდან საზღვარგარეთ ვიზიტის დროს მოხსნეს.

## სახელმწიფო ოჯახური ძალადობის პრობლემის არსებობას არ აღიარებს

ნანა ბასილაშვილი

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში კავშირ "საფარის" მიერ არაერთი ღონისძიება გაიმართა. ამ გლობალური პრობლემის მინიმუმამდე დასაყვანად "საფარის" წევრებმა სხვადასხვა სემინარი, პრესკონფერენცია, მრგვალი მაგიდა და კონკურსებიც კი მოაწყვეს. ისეთი აქტუალური თემა, როგორიცაა ძალადობა ოჯახში, ხმამაღალი და ხშირი ხსენების საგანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან გამკლავება ნამდვილად რთული, ან უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია. სწორედ ამა საკითხს გაესვა ხაზი "საფარის" მიერ გამართულ მორიგ "მრგვალ მაგიდაზე", რომელიც ამჯერად ქუთაისში მოეწყო.

მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობა თორმეტმა ქალბატონმა მიიღო (მათგან 10 ქალბატონი აფხაზეთიდან დევნილი გახლდათ). შეკრებილთა აზრით, ჩვენს ქვეყანაში ოჯახური ძალადობის მხრივ სურათი საკმაოდ რთულია. რეალურად პრობლემა გაცილებით მწვავეა, ვიდრე ამას ამბობენ. ქალაქისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაა შექმნილი სოფლებსა და რაიონებში. აქ უპირველეს პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ძალადობას მხოლოდ ფიზიკურ ზეწოლას უწოდებენ. ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, გენდერული, ყოფაცხოვრებისეული თუ სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ფაქტებს სხვადასხვა, ხალხური სახელწოდებები აქვს. განათლების დაბალი დონის გამო მათ არ იციან, რა ითვლება ძალადობაში. სახელმწიფოს კი, თავის მხრივ, არსებული პრობლემა არ აქვს აღიარებული, გარდა უკიდურესი შემთხვევებისა (მაგალითად, წყალტუბოში ორი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ქმარმა ცოლი მოკლა).

არსებულ ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სრულყოფილი კანონმდებლობა, აგრეთვე დიდ როლს თამაშობს ჩვენში გავრცელებული სტერეოტიპული, ე.წ. ქართველი ქალის მენტალიტეტი.

საერთო სურათის წარმოჩენის შემდეგ მრგვალი მაგიდის წევრებმა ოჯახური ძალადობის მიზეზებსა და გამოსავლის ძიების გზებზე ისაუბრეს. ძალადობის მიზეზებიდან პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დასახელდა (თუმცა, ისიც აღიარეს, რომ ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს ნამდვილად არ თამაშობს), დამახინჯებული ტრადიციები, ან ტრადიციებისადმი მახინჯი დამოკიდებულება, განათლების დაბალი დონე (სკოლაში არ არის სათანადო განათლება, ხშირია ძალადობრივი აღზრდის ფაქტები, მასწავლებლები თვითონ არიან ძალადობრივი საზოგადოების წევრები), ფსიქოლოგიური განათლების ნაკლებობა, ძალადობის პროპაგანდა ტელევიზიით და ა.შ. ძალადობის გამომწვევ უმთავრეს მიზეზთა შორის დასახელდა ის ფაქტიც, რომ ქალი სოციალურად უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე მამაკაცი, აგრეთვე, ოჯახში ფუნქციების არათანაბარი გადანაწილება, ბალანსის დარღვევა მოვალეობებსა და უფლებებს შორის და პიროვნული ურთიერთობები.

გამოსავალი კი, მიზეზებიდან გამომდინარე, ლოგიკურად და საკმაოდ მარტივად მოიძებნა - განათლების სისტემის სრულყოფა, ცვლილებები კანონმდებლობაში, პრობლემის გამოტანა საზოგადოებაში, სახელმწიფოს მიერ პრობლემის გაცნობიერება, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, პრობლემის ეროვნული გაგება, აგრეთვე, საზოგადოების კონსოლიდაცია ძალადობის მიმართ.

კავშირ "საფარის" მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ ამჯერად ქუთაისში გამართული მრგვალი მაგიდის ირგვლივ მართლაც პრობლემატური და მტკივნეული საკითხის გადაჭრის გზები გაცილებით იოლად მოინახა. თუმცა ეს არ კმარა, დამეთანხმებით, ჩვენს სინამდვილეში რეალურად მათი განხორციელება ნამდვილად აუცილებელია. ალბათ, იმაზეც დამეთანხმებით, რომ ეს თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
რადიო-მოგზაურთა კლუბი



მოგზაურობა ირანში
„ირანელების რძალი"

### ფოსტა

### როდის გადაივსება მოთმინების ფიალა ანუ "თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო"...

მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო სტატიების, სასიყვარულო წერილებისა და ლექსების გარდა არასდროს მიწერია რა. ღმერთი მოწმეა, რომ ახლა რასაც ვაკეთებ, იძულებითია, რადგანაც საზოგადოება არ იქნეს შეყვანილი შეცდომაში.

გაზეთებში "ქრონიკა" (№21-185, 2005, 30/V-5/VI), "24 საათი" (№118, 2005, 28/V) და "ახალი ვერსია" (№330, 2005, 27-29/V) დაიბეჭდა სტატიები, სადაც მე "მიწასთან ვარ გასწორებული", როგორც ექიმი, ადამიანი და მოქალაქე. მე სტატიების ავტორებთან პაექრობას არ ვაპირებ.

მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა რამ არის. ამ პასკვილების უშუალო შემსრულებელი, რასაკვირველია, ქ-ნი ალანია და მისი ახლობლებია. დამკვეთის ვინაობა კი თუნდაც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან ირკვევა, სადაც კორესპონდენტმა პირდაპირ დაასახელა ვინმე რ. თოდუა. თურმე პაციენტმა და მისმა ახლობლებმა ჩემი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის გადამოწმება განიზრახეს ჩემსავე თანამშრომელ რ. თოდუასთან, რომელიც აშკარად გასცდა რა ექიმისათვის დამახასიათებელ ეთიკისა და ზნეობის ყოველგვარ ნორმებს, მლანძღა და მაგინა პაციენტთან და მის ახლობლებთან და, როგორც ირკვევა, წააქეზა ეს ადამიანები ზემოაღნიშნული პუბლიკაციებისათვის რამდენიმე გაზეთში.

მე ამას, რა თქმა უნდა, ჩემი იოტისოდენა ყურადღების ღირსადაც არ ჩავთვლიდი (ანალოგიური შურით, ბოღმითა და ღვარძლით გაჯერებული შემოტევები რ. თოდუასგან უსაფუძვლოდ გრძელდება წლებისა და წლების მანძილზე, რომელიც არანაირ ემოციას და საპასუხო რეაქციას არ იწვევდა ჩემში ღიმილის გარდა), მაგრამ ამ სიტუაციას, როგორც ჩანს, უფრო ღრმა ფესვები აქვს. ეს განდიდების მანიით შეპყრობილი სუბიექტი (რ. თოდუა) ამდენს ვერ გაბედავდა, მფარველი რომ არ ჰყავდეს მისი თანაკურსელისა და ძველი მეგობრის - ონკოცენტრის ხელმძღვანელის რ. გაგუას სახით. ამ უკანასკნელის ნიჰილისტური დამოკიდებულება კოლეგიალურ ურთიერთობებთან მიმართებაში არ დაარქვას თეთრს - თეთრი, შავს - შავი და ამჯობინოს სრული ინდიფერენტულობა, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას ეწყობს ნებისმიერი უთანხმოება, დაპირისპირება, არეულობა და სკანდალი ონკოცენტრის იმ განყოფილებებში, რომელთა შესაძლო სამომავლო ინტერესები აქვს და ირჩევს ტაქტიკას: აუღელვებლად ადევნოს თვალყური მორიგ სეირს, მოამზადოს და შექმნას მისთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრი, რომლის მომწიფების შემდგომ მის მიერვე ღიად დატოვებული კოლეგებს შორის გამწვავებული ურთიერთობის საფუძველზე გამოგვეცხადოს "ცისფერჩაფხუტიან მშვიდობისმოყვარედ", ე.წ. რეორგანიზაციის ეგიდით მოირგოს სათავისოდ ესა თუ ის განყოფილება და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს კარს მომდგარი ასაკი. სხვა შემთხვევაში რით აიხსნება ის, რომ არა მხოლოდ ჩემთან დაკავშირებული შემთხვევა, არამედ მოგონილი ისტორიაც, რომელიც ერთი წლის მანძილზე რ. თოდუას პერმანენტული ჩივილების გამო პროკურატურის გარჩევის საგანი იყო, თითქოსდა მას თავისივე განყოფილების გამგე ცემას უპირებდა (რომელიც იურიდიული მოკვლევით არანაირად არ დადასტურდა) და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გვერდის ავლით რ. თოდუას მიერ ცალსახად და ტენდენციურად ჟურნალისტის მეშვეობით დაიბეჭდა "რეზონანსი"-ს ფურცლებზე, რ. გაგუას მიერ უპასუხოდ და უკომენტაროდ დარჩა... სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ იმავე გაზეთში, იმავე გვერდზე, იმავე ადგილას დაწესებულების ხელმძღვანელი რ. გაგუა "ოლიმპიური სიმშვიდით", ანუ არხეინად აქვეყნებს უწყინარ სტატიას ბავშვთა ონკოლოგიის პრობლემებზე(?!)...

საერთოდ, ბ-ნ რ. გაგუას აქვს, ალბათ, "ობიექტური" მიზეზი, უარყოფითად იყოს ჩემდამი განწყობილი, რადგან შარშან ონკოცენტრში ჯანდაცვის მინისტრ ბ-ნი ლ. ჭიპაშვილის სტუმრობისას მე საჯაროდ, კოლექტივის წინაშე, ერთადერთმა გამოვთქვი აზრი, რომ ეს პიროვნება (რ. გაგუა) მთელი თავისი არსით რევოლუციამდელი ხელისუფლების ერთგული მსახური იყო და შემდგომ განიცადა "ყვარყვარესეული" მეტამორფოზა, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, და რომ მას არ აქვს მორალური უფლება, არჩევნების გარეშე დარჩეს დაწესებულების ხელმძღვანელად...

...არჩევნები შედგა. აირჩა სამეთვალყურეო საბჭო, რ. გაგუას კი ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ დარჩა კოლექტივის მიერ არჩეული საბჭოს თავმჯდომარედ. ჩემი გამოსვლა მან, როგორც ჩანს, ღრმად ჩაიდო გულში და მიპირებს ანგარიშსწორებას ადმინისტრაციული (ჯერჯერობით) ზეწოლით...

მე მგონია, რომ ამ პროვინციული ვაკხანალიის შესახებ საქმის კურსში არ ბრძანდება არც ჯანდაცვის მინისტრი ბ-ნი ლ. ჭიპაშვილი და არც ჩვენი პარლამენტის შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი გ. წერეთელი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი სამართლიანი ზომები აქამდე უკვე იქნებოდა მიღებული.

P.S. ნებისმიერ მედალს ორი მხარე აქვს, ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ისტორიის ყველა ზემოჩამოთვლილ მონაწილეს, რამეთუ მათ მოლოდინს შედეგმა ნამდვილად გადააჭარბა, და რაც მთავარია, ხარისხობრივად: მეგობრები, ამხანაგები და ნაცნობები, ღმერთის წყალობით, არ მაკლია, მაგრამ არ მეგონა, თუ ამდენი გულშემატკივარი მყავდა; რაც შეეხება პაციენტებს, ამ მხრივ ჩემმა ელექტორატმა, როგორი გასაკვირი, მოულოდნელი და სამწუხაროც არ უნდა იყოს "სპექტაკლის" მონაწილეებისათვის, საგრძნობლად იმატა...

და კიდევ ერთი. პატივცემულ ღვაწლმოსილ პედაგოგს ქ-ნ ალანიას და მის ახლობლებს მინდა მივაწოდო ერთი მათთვის, ჩემი აზრით, საინტერესო ინფორმაცია, მათ მიერ გალანძღული პიროვნება - ირაკლი ნადირაძე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, წარსულში ქ. თბილისის რამდენიმე წამყვანი სკოლის ათეული წლების მანძილზე უცვლელი დირექტორის და მართლაც ნახევარი თბილისის აღმზრდელის - გიორგი ოდიშარიას შვილიშვილია...

P.P.S. მე აღარ ვაპირებ ამ "სპექტაკლის" ზემოჩამოთვლილ პერსონაჟებთან და მათ წარმომადგენლებთან პოლემიკაში შესვლას მასმედიის საშუალებით (და არც მათ ვურჩევ ამის გაკეთებას), მაგრამ ჩემი ღირსების კვლავ შელახვის მცდელობისას მათ მოუწევთ, პასუხი აგონ სამართლებრივად ჩემი ადვოკატების მეშვეობით.

*სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი*
***ირაკლი ნადირაძე***

# სტატუსი განსაზღვრულია - მოლაპარაკებები გრძელდება

პირველი გვერდიდან

დნესტრისპირეთის სტატუსის შესახებ კანონპროექტი, ფაქტობრივად, ოფიციალური კიშინიოვის მომავალ პოზიციას განსაზღვრავს სეპარატისტულ რეგიონთან მოლაპარაკებებში. გასულ კვირას მოლდოვას პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი დნესტრისპირეთის სტატუსის შესახებ, რომელიც დიდწილად იმეორებს კიშინიოვსა და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას შორის, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს მიერ შეთავაზებულ გეგმას. შეგახსენებთ, უფრო ადრე კიშინიოვმა უარყო რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილის დმიტრი კოზაკის გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსეთის ჯარები რეგიონში 2015 წლამდე უნდა დარჩენილიყვნენ, თავად მოლდოვა კი "ასიმეტრიული ფედერაცია" უნდა გამხდარიყო, რომელშიც სუბიექტების უფლებებით გაერთიანდებოდნენ დნესტრისპირეთი და უმეტესად თურქულენოვანი გაგაუზებით დასახლებული ქვეყნის სამხრეთი ნაწილი.

პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტის თანახმად, დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა განისაზღვრა, როგორც "ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი რესპუბლიკის სტატუსით მოლდოვის რესპუბლიკის შემადგენლობაში".

რეგიონი მოლდოვას ერთიან ეკონომიკურ, საბაჟო და სავალუტო სივრცეში უნდა შევიდეს, მაგრამ ექნება საკუთარი კონსტიტუცია და დნესტრისპირეთის უმაღლესი საბჭოს (საყოველთაო სახალხო კენჭისყრით არჩეული საკანონმდებლო ორგანო) მიერ ფორმირებული მთავრობა. გარდა ამისა, აღნიშნული კანონპროექტი 2006 წლის 31 დეკემბრამდე რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანასაც ითვალისწინებს.

უკრაინის პრეზიდენტის ინიციატივა მოლაპარაკების ყველა მონაწილემ მოიწონა. მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ **"რუსეთი დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების საკითხის ვიქტორ იუშენკოს გეგმას განიხილავს და მზად არის მის საფუძველზე იმუშაოს".**



იუშენკოს ინიციატივას ეთანხმებოდა დნესტრიპირეთის სეპარატისტული რეჟიმიც. მიუხედავად ამისა, დნესტრისპირეთის წარმომადგენლებმა მათი სტატუსის შესახებ კიშინიოვის კანონპროექტი მაინც გააკრიტიკეს. უფრო მეტიც, დპესტრისპირეთის ინფორმაციის და ტელეკომუნიკაციის მინისტრის მოადგილემ სვეტლანა ანტონოვამ სტატუსის შესახებ კანონის მიღებას "დაუფარავი ცინიზმი" უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ფაქტი "მხოლოდ გაამწვავებს ისედაც დაძაბულ ვითარებას რეგიონში".

აღსანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინ ტირასპოლი მზად იყო, იუშენკოს წინადადებას დათანხმებოდა, თუ სანაცვლოდ სავაჭრო ბარიერებს მოუხსნიდნენ. სავარაუდოდ, თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამჟამინდელი გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ოფიციალურმა კიშინიოვმა დნესტრისპირეთის სტატუსი სეპარატისტულ რეჟიმთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე მიიღო.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შედის, თუმცა, დასრულებამდე კვლავაც ბევრი უკლიათ. **"კონფლიქტი დასრულდება მაშინ, როცა კიევი შეძლებს, დაარწმუნოს ტირასპოლი, გაერთიანდეს მოლდოვაში ავტონომიის სტატუსით,"** - აცხადებს ერთ-ერთი რუსი პოლიტოლოგი, პოლიტტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე ალექსეი მაკარკინი ინტერნეტ-სააგენტო "გაზეტა.რუ"-სთან ინტერვიუში. **"ახლა რეგიონში მთავარი მშვიდობისმყოფელის როლში უკრაინა გვევლინება, ხოლო რუსეთს ისღა დარჩენია, რომ დნესტრისპირეთში პოზიციების შენარჩუნებისთვის იბრძოლოს,"** - დასძენს ექსპერტი.

*24 საათი*




HP Compaq (ეიჩ-პი კომპაქ) nx6110. მუშაობს სამუშაო დღეზე დიდხანს.

**თხელი და მსუბუქი, განსაკუთრებული დიზაინით და ხარისხით, ახალი ნოუთბუქი HP Compaq (ეიჩ-პი კომპაქ) nx6110, Intel® Centrino™ Mobile Technology (მობილური ტექნოლოგია ინტელ სენტრინო) ტექნოლოგიის ბაზაზე გაძლევთ თქვენს ოფისთან მუდმივი კავშირის გარანტიას უახლესი უმავთულო ტექნოლოგიის წყალობით.** დამატებითი ბატარეის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ ავტონომიური მუშაობის სტანდარტული 4 საათი 9 საათამდე. სწორედ ამიტომ, თქვენ იქნებით ხაზზე ყველგან, სადაც არ უნდა იყოთ. დაუმატეთ ამას დიზაინის შესანიშნავი ხარისხი და მისაღები ფასი და თქვენ იგრძნობთ, თუ რატომ არის მაინცდამაინც ეს ნოუთბუქი თავისუფლების ახალი ფორმულა HP საგან.



HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nx6110

$1,200*-დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740
  - ინტეგრირებული მოდული Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 256/512 მეგაბაიტი, 1/2 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 4200/5400 ბრუნი/წთ
- 15" დისპლეი XGA
- წონა 2,7 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებით 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 2 USB 2.0



HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6120

$1,600*-დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740/750
  - ინტეგრირებული მოდული Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 256/512 მეგაბაიტი, 1/2 DIMM
- 40–80 გიგაბაიტი, 4200/5400 ბრუნი/წთ
- 14,1"/15" დისპლეი XGA/SXGA+
- წონა 2,7 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებით 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 4 USB 2.0



HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6220

$2,100*-დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 740/750/760
  - ინტეგრირებული მოდული Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 512 მეგაბაიტი, 1 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 5400 ბრუნი/წთ
- 14,1" დისპლეი XGA/SXGA+
- წონა 2,2 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებით 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 4 USB 2.0

ბატარეა უზრუნველყოფს ავტონომიური მუშაობის დამატებით 5 საათს



დამატებითი ბატარეა $200*-დან

hp invent
ეიჩპი ინვენტ

შეიძინეთ

თბილისი: კომპლექს პრო 53 76 76, 25 06 05 • ესაბი 25 29 00
ორიენტ ლოჯიკი 33 06 16 • იუჯითი 22 05 05 • იფერსი 25 39 82

intel inside centrino
ინტელ ინსაიდ სენტრინო

©2005 Hewlett-Packard Development Company, L.P. Intel, Intel logo, Intel Inside, Intel Inside logo, Intel Centrino, Intel Centrino logo, Celeron, Intel Xeon, Intel SpeedStep, Itanium, Pentium, and Pentium III Xeon

# მშვიდობით, გლორია!

## კორუფცია და არჩევნების გაყალბება - იმპიჩმენტი ერთი წლის დაგვიანებით

ხათუნა გაბიევი

ორშაბათს ფილიპინების კონგრესის წინაშე ყოველწლიური დაგეგმილი მიმართვის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ქვეყნის პრეზიდენტის გლორია მაკაპაგალ აროიოს წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის დაწყებისათვის სარჩელი მომზადდა. თუმცა, პროცესის დაწყებისათვის აუცილებელია, აროიოს პოლიტიკური ოპონენტების ინიცირებულ სარჩელს 236 კაციან წარმომადგენელთა პალატაში მხარი დეპუტატთა ერთმა მესამედმა დაუჭიროს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დოკუმენტის სენატში გადაგზავნა. სენატში კი არც პრეზიდენტს და არც ოპოზიციას უმრავლესობა არ ჰყავს. იმპიჩმენტის დაწყებისათვის მომზადებულ დოკუმენტზე ხელი ჯერჯერობით მხოლოდ 40 დეპუტატს აქვს მოწერილი მაშინ, როცა მისი ძალაში შესვლისათვის 10 დღის ვადაში 79 ხელმოწერაა საჭირო.

აროიოს მომხრეები მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, იმპიჩმენტის პროცესის დაწყებაზე სერიოზულად საუბარი კვლავინდებურად ნაადრევია, საერთოდ მცდარი თუ არა. პრეზიდენტის ერთგული მოკავშირის ჟოზე დე ვენეციას თქმით, ოპოზიცია ამჯერადაც დამარცხდა.

**"მართალია, ოპოზიციამ განაცხადა, რომ მოაგროვებენ 79 ხელმოწერას, მაგრამ როგორც ვხედავთ, მათი ინიციატივის მომხრეთა რიცხვი 40-ს არ აჭარბებს,"** - აღნიშნა ჟოზე დე ვენეციამ, წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ.

გლორია აროიოს კორუფციის ხელშეწყობა და გასულ წელს არჩევნების გაყალბება ედება ბრალად. ოპოზიციონერი კონგრესმენის რონალდო ზამორას თქმით, პრეზიდენტი "კონსტიტუციის დარღვევასა" და "ხალხის ნდობის ბოროტად გამოყენებაშია" დამნაშავე. მართალია, პრეზიდენტი უარყოფს ამ ბრალდებებს, მაგრამ ივნისში მან უკვე მოიხადა საჯაროდ ბოდიში - არჩევნების დამთავრების შემდეგ, ხმების დათვლისას - საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან გამართული საუბრის გამო.

იმპიჩმენტის პროცესის დაწყებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობის შეგროვებამდე კი მანილას ქუჩებში დემონსტრაციები არ წყდება, სადაც მომიტინგეთა სახეებზე, ქუდებსა თუ ტრანსპარანტებზე ყველაზე ხშირად ამოიკითხავთ ლოზუნგს: "მშვიდობით, გლორია!"

# ფხენიანის ბირთვული პროგრამა კვლავ აქტუალურია

## აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან

თიკო მაჭარაშვილი

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებმა პეკინში გუშინ ორმხრივი მოლაპარაკებები გამართეს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ვაშინგტონისა და ჩრდილოეთ კორეის დელეგაციები ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მრავალმხრივი მოლაპარაკებების გახსნის წინ, რომელშიც ექვსი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას (ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა, ჩინეთი, იაპონია, აშშ და რუსეთი). აშშ და ჩრდილოეთ კორეა აცხადებენ, რომ მზად არიან, სამწლიანი კრიზისიდან გამოსავალი ერთად მოძებნონ.

სამხრეთ კორეის დელეგაცია კვირას ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებს შეხვდა. ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელმა კრისტოფერ ჰილმა კი გუშინ დილით სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრთან, სონგ მინ-სუნთან მოლაპარაკება გამართა.

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებთან შეხვედრამდე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საკითხებში კრისტოფერ ჰილმა გააკეთა განცხადება, რომ ეს შეხვედრა არ იყო "შეთანხმება". **"უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ, ერთად შევაჯამოთ ფაქტები, რათა რეალურად დავინახოთ ცვლილებები**, - აღნიშნა კრისტოფერ ჰილმა,- **ბირთვული პროგრამის განხილვაში პროგრესის მისაღწევად ჩვენ მზად ვართ, მთელი დატვირთვით ვიმუშაოთ**," - აღნიშნა მან.

ჩინეთის დედაქალაქში მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის დამთავრების თარიღი არ დაუსახელებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრის მიზანი იყო, საბოლოოდ მოეგვარებინათ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემები.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის შემოდგომაზე გამომჟღავნდა ჩრდილოეთ კორეის ურანის გამდიდრების საიდუმლო პროგრამა. 2003 წლის აგვისტოს შემდეგ მოლაპარაკებების სამი რაუნდი გაიმართა, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ვაშინგტონმა და ფხენიანმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ჩრდილოეთ კორეის განიარაღების შესახებ, რაც ითვალისწინებს აშშ-ს მხრიდან ეკონომიკურ დახმარებას, უსაფრთხოების გარანტიასა და დიპლომატიურ აღიარებას.

საგულისხმოა, რომ აშშ-მ შეცვალა ტონი ფხენიანის "სტალინური" რეჟიმის მიმართ. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში "ბატონ" კიმ ჩენ ირზე საუბრობს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კი ივლისის დასაწყისში ირწმუნებოდა, რომ მის ქვეყანას ჩრდილოეთ კორეასთან ომის წამოწყების არანაირი სურვილი არ ჰქონდა.

იაპონური სააგენტოს "კიოტო ნიუსის" ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა უარს არ იტყვის თავის ბირთვულ პროგრამაზე, ვაშინგტონი მზად არის, ფხენიანში გახსნას "კავშირის ბიურო", მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა.

ჯერ კიდევ 1994 წელს, როდესაც ამერიკამ და ჩრდილოეთ კორეამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ფხენიანის ბირთვული პროგრამის გაყინვის შესახებ, რომლის სანაცვლოდაც ჩრდილოეთ კორეა ამერიკისგან მიიღებდა ეკონომიკურ დახმარებას, აშშ-მ ჩრდილოეთ კორეაში "კავშირის ბიურო"-ს გახსნის შესახებ განაცხადა.

2002 წელს ამერიკამ დაადანაშაულა ჩრდილოეთ კორეა შეთანხმების დარღვევაში და ამის შემდეგ "კავშირის ბიურო"-ს გახსნის შესახებ არაფერი თქმულა.

საბოლოოდ, იაპონიამ აშშ-სგან გუშინ მიიღო მხარდაჭერა, რომ ექვსმხრივ შეხვედრაზე ხელახლა წამოიწყოს ერთი წლის წინ შეწყვეტილი მოლაპარაკებები და აიძულოს კომუნისტური კორეა, ნათელი მოჰფინოს 1970-1980 წლებში მის მიერ გატაცებული იაპონელების ბედს, თუმცა, ორი კორეა, ჩინეთი და რუსეთი ეწინააღმდეგებიან ამ საკითხის განხილვას ბირთვული პროგრამის განხილვისას.

კატალოგი
მოკალი ტკივილი!
რეგისტრაციის № 0000406

„სასარგებლო" მიკროორგანიზმები

ლაქტო-G

GMP

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის (სხდომის თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამიას, იაკობ ფუტკარაძისა და ნიკოლოზ შაშკინის (მომხსენებელი მოსამართლე) შემადგენლობით (სხდომის მდივანი - დარეჯან ჩალიგავა) 2005 წლის 25 ივლისს გამოიტანა და გამოაცხადა განჩინება (N1(14(335) კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" მიერ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ შემოტანილი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხზე.

**დავის საგანს წარმოადგენდა:** კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე და 35-ე მუხლებთან, 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" და "კ" ქვეპუნქტებთან მიმართებით (1) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონის 87-ე მუხლი, (2) "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი და (3) "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულება.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2005 წლის 21 ივნისს შემოვიდა (რეგისტრაცია N335). სარჩელი, დადგენილი წესის შესაბამისად, 2005 წლის 28 ივნისს გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. 2005 წლის 13 ივლისს გაიმართა კოლეგიის ღია განმწესრიგებელი სხდომა. საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ მოსარჩელის წარმომადგენლები - კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" თავმჯდომარე დენიზა სუმბაძე, პროფესორი ვალერი ლორია და იურისტი მალხაზ პატარაია.

სარჩელი შემოტანილია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-15 და მე-16 მუხლების საფუძველზე.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 87-ე მუხლი ითვალისწინებს უნივერსიტეტის საქმიანობის ორგანიზაციის (მართვის) ისეთ ფორმას, რაც საპრეზიდენტო მმართველობის გამოცხადების ტოლფასად უნდა ჩაითვალოს. ეს გამოიხატება იმით, რომ უფლებამოსილება შეუწყდათ კანონიერად არჩეულ რექტორს და ფაკულტეტების დეკანებს, გაუქმდა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო. უნივერსიტეტის მართვა რექტორისა და დეკანების მოვალეობის შემსრულებლებისთვის გადაცემა კი არ პასუხობს დემოკრატიული მართვის პრინციპებს.

მოსარჩელის აზრით, უნივერსიტეტის საპრეზიდენტო მმართველობის გასაღრმავებლად საქართველოს პრეზიდენტმა 2005 წლის 8 ივნისს გამოსცა სადავო ბრძანებულება N473, რომელიც დამატებით საგანგებო უფლებამოსილებას ანიჭებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული სადავო აქტების გარდა, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს ვერ პასუხობს "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც გახდა სადავო ბრძანებების გამოცემის ერთ-ერთი საფუძველი. პრეზიდენტს კონსტიტუციის თანახმად, ბრძანებულების გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე. სადავო პუნქტი კი მაშინაც აძლევს პრეზიდენტს ამის უფლებამოსილებას, როცა საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, მოსარჩელე მხარის აზრით, სადავო ნორმატიული აქტები ხელყოფენ უნივერსიტეტის თანამშრომელთა შრომით უფლებებსა და განათლების უფლებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით.

განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლებმა კიდევ უფრო განავრცეს კონსტიტუციურ სარჩელში ჩამოყალიბებული მოტივაცია, დააზუსტეს როგორც დავის საგანი, ისე საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებსაც, მათი აზრით, ეწინააღმდეგება სადავო ნორმატიული აქტები. მოსარჩელის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სადავო აქტებით ასევე დარღვეულია პროფესორ -მასწავლებელთა საკუთრებისა და თვითმმართველობის არჩევით ორგანოებში მონაწილეობის უფლება, აზრის გამოთქმის თავისუფლება, პატივისა და ღირსების უფლება. საბოლოო სასარჩელო მოთხოვნის თანახმად, უნდა გაირკვეს - კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-17, მე-19, 21-ე, 23-ე მუხლებთან, 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან, 29-ე, 30-ე, 35-ე, 39-ე და 46-ე მუხლებთან მიმართებით (1) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონის 87-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტები, (2) "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, (3) "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულება.

მოსარჩელე ასევე მოითხოვს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ კონსტიტუციური სარჩელისა და თანდართული მასალების, განმწესრიგებელ სხდომაზე მოწვეული მოსარჩელის წარმომადგენლების განმარტებათა გაანალიზების საფუძველზე გამოარკვია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი გარემოებანი.

I. სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "კონსტიტუციური სარჩელი ... დასაბუთებული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სარჩელში ... აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სარჩელის ... საფუძვლიანობას". ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმადაც კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული უნდა იყოს "მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას". კანონმდებლობის ამ მოთხოვნით იგულისხმება, რომ სარჩელი დასაბუთებული და ამ მიზნით მოყვანილი მტკიცებულებები უნდა იყოს არა ფორმალური ხასიათის, არამედ საგნობრივად და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობაზე მიმანიშნებელი. სასამართლო კოლეგიის აზრით, მოსარჩელის მიდგომებიდან გამომდინარეად, კანონმდებლობის აღნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება.

1. საქმეში არსებული მასალებიდან გაურკვეველი და საეჭვოა თვით მოსარჩელე სუბიექტის უფლებრივი მდგომარეობა. სასარჩელო განცხადებაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტად დასახელებულია "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა", როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. "ასამბლეის" ამგვარი უფლებაუნარიანობა გამომდინარეობს მისი წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან, რომლის მიხედვიდაც, ამ კავშირის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია "წარმოადგინოს უნივერსიტეტი, როგორც ერთიანი საზოგადოება". იგივეზეა მინიშნებული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის ა. კახნიაურის 2005 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში, რის საფუძველზეც მოხდა "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" რეგისტრაცია.

აღნიშნული გარემოება, რაგინდ კეთილშობილური მიზნებიც არ უნდა იყოს მასში ჩადებული, ვერ მოდის თანხმობაში სხვადასხვა იურიდიული პირების, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის", როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის, საქმიანობის ფუნქციური გამიჯვნის მოთხოვნებთან. მოცემული კავშირი კისრულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობას, მაშინ როცა ეს შესაძლებელია ნორმატიული ან სახელშეკრულებო გზით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოსარჩელე იყოს უფრო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვიდრე კავშირი "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა". ამაზე მიანიშნებს ის უფლებებიც, რომელთა დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა აწესრიგებს იურიდიული პირების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებამოსილების საკითხს. "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, "საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ ... საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი".

ორგანული კანონის ამ დებულების სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდანაც ჩანს, რომ იურიდიულ პირს, როგორც მოსარჩელეს, უფლება აქვს იდავოს მხოლოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს პირდაპირი კავშირი სადავო ნორმატიულ აქტებსა და მოსარჩელის უფლებებს შორის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო აქტების ერთი ნაწილი - "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 87-ე მუხლის მე-2 - მე-5, მე-7 - მე-8 პუნქტები და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულება ეხება საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებებს და არა მოსარჩელის, როგორც იურიდიული პირის, უფლებრივ მდგომარეობას, რაც განსაზღვრულია მისი წესდებით და არა აღნიშნული აქტებით. იმ ვითარებაში, როცა სარჩელიდან არ დასტურდება სადავო ნორმატიული აქტების, კონსტიტუციური უფლებებისა და მოსარჩელე სუბიექტის კავშირ-ურთიერთობა, შეუძლებელია იმისი თქმა, რომ დაცულია ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს სასარჩელო მოთხოვნის მიზანმიმართულებაც. მოსარჩელე ერთხელაც კი არ ახსენებს სარჩელში, რომ დარღვეულია "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" უფლებები. სულ საუბარია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი თანამშრომლების უფლებების დარღვევაზე. ამ მდგომარეობას ვერ ასწორებს მოსარჩელის მხრიდან იმაზე მინიშნება, რომ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" წევრები იმავდროულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის", როგორც იურიდიული პირისა და მისი წევრების უფლებების ერთმანეთთან გაიგივება. ყოველი სუბიექტი მხოლოდ თავისი უფლებების მატარებელია. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის", ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უკანასკნელის თანამშრომელთა უფლებები სამართლებრივად ერთმანეთისაგან გამიჯნული უფლებებია.

რაც შეეხება მესამე სადავო აქტს, კერძოდ, "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს, არც ამ შემთხვევაში არ დასტურდება მისი საგნობრივი შემხებლობა მოსარჩელე სუბიექტთან. აღნიშნული პუნქტი მიჩნეულია საქართველოს პრეზიდენტის იმ სადავო ბრძანებულების გამოცემის საფუძვლად, რომლის მიმართაც ასევე არ ჩანს მოსარჩელის უფლებრივი კავშირი.

3.კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელედ დასახელებულია კავშირი "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა" და სარჩელს მისი სახელით ხელს აწერს "ასამბლეის" თავმჯდომარე. მოსარჩელის წარმომადგენელმა პროფესორმა ვალერი ლორიამ, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციისა და განმწესრიგებელი სხდომის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილ განცხადებებში, აგრეთვე განმწესრიგებელი სხდომის დროს განაცხადა, რომ იგი კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეასთან" ერთად არის მოსარჩელე ფიზიკური პირი. თავისი გამოსვლა განმწესრიგებელ სხდომაზე მან სწორედ ასე დაასათაურა - "მოსარჩელე ვალერი ლორიას სიტყვა საკონსტიტუციო სასამართლოს I კოლეგიის განმწესრიგებელ სხდომაზე 2005 წლის 13 ივლისს". ამას კი არავითარი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. ამით, მოსარჩელის წარმომადგენლის პირდაპირი დანიშნულების საწინააღმდეგოდ, გაბუნდოვანდა და ტყუილუბრალოდ გართულდა საქმის ვითარება. არსებული მასალების მიხედვით, პროფ. ვ. ლორია ვერანაირად ვერ ჩაითვლება მოსარჩელედ. მოცემულ შემთხვევაში იგი მხოლოდ და მხოლოდ მინდობილობით წარმომადგენელია.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგია იმაზედაც მიუთითებს, რომ "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ". "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" კონსტიტუციურ სარჩელს მოსარჩელის გარდა, ხელს აწერს მისი წარმომადგენელიც, რაც ეწინააღმდეგება დასახელებული მე-16 მუხლის მოთხოვნას. აღნიშნულის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ არაერთხელ მიუთითა თავის გადაწყვეტილებებში. აქვე უნდა ითქვას აგრეთვე, რომ საერთოდ ხარვეზებით ხასიათდება წარმომადგენლობის უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტებიც.

არასწორადაა კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული სადავო ნორმატიული აქტების შეფასების საკითხიც. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად აცხადებს და ამგვარად აუქმებს ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს. მოსარჩელე კი მოითხოვს მათ ბათილად გამოცხადებას.

მოსარჩელე მოითხოვს აგრეთვე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის სადავო ნორმებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების "ამოქმედება "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 1996 წლის 31 იანვრის კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად". სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ (1) მოსარჩელეს უნდა მოეთხოვა სადავო აქტების არა "ამოქმედების", არამედ მოქმედების შეჩერება, (2) არსებობს არა "კანონი", არამედ ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და (3) ამ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ ითვალისწინებს სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებას.

კონსტიტუციურ სარჩელში არც დავის საგნის ფარგლებია სადავო უფლებებთან მიმართებით ჯეროვნად მოხაზული, რის გამოც მოსარჩელე აბსტრაქტული კონტროლის სფეროში იჭრება. სასამართლოსათვის გაუგებარია, თუ რატომ შეიძლება გახდეს კონსტიტუციური შეფასების საგანი ის ნორმები, რომლებშიც სათანადო (შესაბამისი) სუბიექტების უფლებებისადმი არ ჩანს ნეგატიური დამოკიდებულება.

მოსარჩელე მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების მთლიანად არაკონსტიტუციურად ცნობას. გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იქნეს ცნობილი არაკონსტიტუციურად, მაგალითად, ამ ბრძანებულების მე-2 მუხლის ის პუნქტები, რომელთა მიხედვიდაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელი "ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას" და "საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს". ასევე სრულიად აუხსნელია, თუ რითი ეწინააღმდეგება მოსარჩელის - "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" კონსტიტუციურ უფლებებს და რის საფუძველზე მოითხოვს იგი გაუქმდეს აღნიშნული ბრძანებულების მთელი მე-5 მუხლი, რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების სათანადო პუნქტები. არც კონსტიტუციურ სარჩელში არ არის ნაჩვენები და არც განმწესრიგებელ სხდომაზე მოწვეულ მოსარჩელის წარმომადგენლებს არ განუმარტავთ, რომ ამით დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" უფლებანი და თავისუფლებანი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მოყვანილი მტკიცებულებებიდან არ დასტურდება საკმარისი დამაჯერებლობით მისი კონსტიტუციური უფლებების არათუ სავარაუდო დარღვევა, არამედ მათი საერთოდ არსებობა და სადავო ნორმატიულ აქტებთან კავშირ-ურთიერთობა. ასეთ ვითარებაში კი საფუძველი ეცლება სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-17, მე-19, 21-ე, 23-ე მუხლებთან, 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან, 29-ე, 30-ე, 35-ე, 39-ე და 46-ე მუხლებთან მიმართებით.

II. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია აღნიშნავს, რომ განათლების რეფორმა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რეფორმა, საკმაოდ მტკივნეული პროცესია და არაა გამორიცხული, რომ იგი უარყოფითად აისახოს ცალკეული პირების ცხოვრებაზე. ეს გარემოება სახელმწიფოს ავალდებულებს მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს სამართლებრივად დაინტერესებული ყველა სუბიექტის კანონიერი და პატივსადები ინტერესების გასათვალისწინებლად.

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-18 მუხლის "ა" და "ბ" პუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-31 მუხლებითა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტით,

საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

I. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად კავშირ "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" კონსტიტუციური სარჩელი (1) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონის 87-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტების, (2) "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, (3) "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-17, მე-19, 21-ე, 23-ე მუხლებთან, 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან, 29-ე, 30-ე, 35-ე, 39-ე და 46-ე მუხლებთან მიმართებით და შეწყდეს სამართალწარმოება ამ სარჩელზე;

II. ეს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

III. განჩინება გამოქვეყნდეს პრესაში.

ბ. ზოიძე (სხდომის თავმჯდომარე)
ვ. გვარამია
ი. ფუტკარაძე
ნ. შაშკინი (მომხსენებელი მოსამართლე)


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***იმერეთის რეგიონის 5 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სამშენებლო სამუშაოები.***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ²) |
|---|---|---|
| ბაღდათი | სოფ. ხანის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ბაღდათი | სოფ. ზეგანის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხონი | სოფ. გორდის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხარაგაული | სოფ. ზვარეს პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| წყალტუბო | სოფ. ღვნორისის პჯდ მშენებლობა | 89,0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში განთავსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზევით ჩამოთვლილ ობიექტზე.
საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 25 ივლისიდან, 10-დან 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:
საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს ***100 (ასი)*** ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***8 000*** (რვა ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 23 აგვისტოს 13 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***13:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

## კულტურის საქალაქო სამსახური თეატრებს ნაწილობრივ დააფინანსებს

თბილისის დამოუკიდებელ თეატრებს წლის ბოლომდე თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ნაწილობრივ დააფინანსებს.

ივნისში გამოცხადებულ კონკურსში, ჟიურის გადაწყვეტილებით, თავისუფალი თეატრის, თეატრალური სარდაფის, მოძრაობის თეატრისა და რეჟისორ გოგი ყაჭრიშვილის პროექტებმა გაიმარჯვა. "ამ თეატრებმა რამდენიმე პროექტი წარმოადგინეს, რომლებიც წლის ბოლომდე უნდა დაიდგას სცენაზე. პროექტებს განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ნაწილობრივ დააფინანსებს", - განაცხადა კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ფატი გვიმრაძემ. ამ პროექტის ფარგლებში "მოძრაობის თეატრი" თბილისის სხვადასხვა უბანში ღია ცის ქვეშ სპექტაკლებს დადგამს.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: გოგი მარგველაშვილი, რამაზ იოსელიანი, ლია ლაზაშვილი და გოჩა კაპანაძე.

*ინტერპრესნიუსი*

## ვისაც მუზეუმში სიარული უყვარს



"თავისუფალი შესვლის სქემა" - ასე ჰქვია ერთ ძალიან კეთილშობილურ სახელმწიფო ინიციატივას, რომელიც ბრიტანეთში ბოლო დროს ხორციელდება და მოქალაქეებს მუზეუმის უფასოდ დათვალიერების საშუალებას აძლევს. ბოლოს ამ საგანგებო ნუსხაში ისეთი დაწესებულებები მოხვდნენ, ფეხბურთის და ისტორიის მოყვარულებს რომ გაუხარდათ ყველაზე მეტად - ფეხბურთის ნაციონალური მუზეუმი პრესტონში და ისტორიის მუზეუმი მანჩესტერში.

გეგმა 2001 წლიდან ხორციელდება. ბრიტანეთის მუზეუმი, ისტორიის მუზეუმი, ლონდონის ნაციონალური გალერეა - ეს ინსტიტუტები ნუსხაში პირველები მოხვდნენ. წარმატება აშკარაა. მუზეუმებში გაორმაგებული ინტერესით და ენთუზიაზმით დადიან ბრიტანელებიც და ტურისტებიც. "პროგრამას საოცარი წარმატება მოჰყვა. ახლა ფეხბურთის და კაცობრიობის ისტორიის მუზეუმების სქემაში გაერთიანებაც ნიშნავს იმას, რომ მათ კოლექციებს ჩვენი სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს", - აცხადებს კანცლერი გორდონ ბრაუნი.

## ორკესტრი მაესტროს არ აღიარებს



მუსიკოსების წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთ-ერთი მსხვილი ამერიკული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, პირველად ისტორიაში ქალბატონი იქნება. მერინ ესლოპი, 2006-07 წლის სეზონის ბოლოდან სადირიჟორო პულტთან იური ტემირკანოვს შეცვლის.

48 წლის ესლოპი სახელგანთქმული ბალტიმორის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალურ დირექტორად მას შემდეგ დანიშნეს, რაც მმართველთა საბჭოს წევრთა გადამწყვეტი ორი ხმა მიიღო. თუმცა, ორკესტრის მუსიკოსები არც ისე სიხარულით შეხვდნენ ცნობას გადაწყვეტილების შესახებ. ამერიკელი მერინ ესლოპის დანიშვნა, რომელიც ამჟამად ბრიტანეთში ბორნმუტის სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობს, კიდევ ერთი გარღვევა იქნება ქალების მხრიდან სფეროში, სადაც ტრადიციულად მამაკაცები არიან სათავეში. მაგრამ, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, ალბათ, გარკვეულ დაბრკოლებებს შეუქმნის მუსიკოსების განწყობა. ისინი დირიჟორის პრეტენდენტების ძიებას მოითხოვენ. თუმცა კი დირექტორთა საბჭო ჯერჯერობით მათ ყურს არ უგდებს.

# "თუკი ექსპერიმენტი გაამართლებს, კიდევ უფრო გავაფართოვებთ არეალს"

### ბორჯომის ფესტივალი ბათუმში

ვერა ნეფარიძე

*ხვალიდან ბათუმის ოპერის თეატრი ხელოვნების სამდღიან ზეიმს უმასპინძლებს. ბორჯომის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში კვლავინდებურად ლიანა ისაკაძის ორგანიზატორობითა და "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გენერალური სპონსორობით იმართება. ფესტივალთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" კორპორატიული დირექტორი ლევან ბაღდავაძე.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლევან ბაღდავაძე.*

თანამშრომლობა სახელოვან ქართველ მევიოლინესა და არაერთი საინტერესო ინიციატივის ავტორს, ლიანა ისაკაძესთან ოთხი წლის წინათ დაიწყო.

მოგეხსენებათ, ქალბატონ ლიანას ფესტივალების გამართვის დიდი გამოცდილება აქვს. საწყისი ფესტივალი იყო "ახალი ათონის" სახელით ცნობილი, რომელიც ბორჯომის ფესტივალით გაგრძელდა. ქალბატონმა ლიანამ ოთხი წლის წინათ შემოგვთავაზა ამ პროექტში მონაწილეობა. დავიწყეთ თანამშრომლობა. პროექტი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ გვინდოდა განსაკუთრებული მუხტი შეგვეტანა ბორჯომის ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში ბევრი დამსვენებელი ჩამოდიოდა ბორჯომში, მათთვისაც საინტერესო იქნებოდა ფესტივალი და რა თქმა უნდა, ჩვენი კურორტის პოპულარიზაციისთვის.

**- ე.ი. თავიდანვე გენერალურ სპონსორობაზე იყო საუბარი?**

- დიახ, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ნებისმიერ ღონისძიებაში, რომელიც ბორჯომში გაიმართება და მივიღებთ მონაწილეობას, ჩვენ გენერალური სპონსორობის პრეტენზია გვექნება.

**- მანამდე რამდენად აქტიურად აფინანსებდა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" კულტურულ პროექტებს?**

- პრაქტიკულად ღონისძიება არ იმართება ბორჯომში, რომელშიც არ ვმონაწილეობთ. ცნობილი ფრანგი პიანისტის მასტერკლასები მოვაწყეთ ბორჯომის მუსიკალურ სკოლაში; ვმონაწილეობდით ყველა ღონისძიებაში, რომელიც სილამაზის კონკურსის ეგიდით იმართებოდა; ასევე ვასპონსორებდით სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებებს, კონცერტებს და სხვა. ასეთი მასშტაბური არა, მაგრამ ლოკალური მნიშვნელობის და სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილი იყო. ბორჯომის გარეთ აქტიურად ვმონაწილეობთ სპორტულ ღონისძიებებში. მაგალითად, ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირებს ვაწყობთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში "კოკა კოლასთან" ერთად. ჩოგბურთის ქალთა ტურნირს ცალკე ვასპონსორებდით. კულტურის სფეროში მონაწილეობა მივიღეთ "თი-ბი-სი ბანკთან" ერთად კონსერვატორიაში ნიჭიერ ბავშვთა კონცერტების მოწყობაში.

**- გენერალური სპონსორობა ერთგვარი ორგანიზატორობაც არის. რა პრინციპზეა აგებული თქვენი თანამშრომლობა ფესტივალის ორგანიზატორებთან?**

- ჩვენ არ ვერევით შემოქმედებით მხარეში, რამდენადაც აბსოლუტურად ვენდობით ქალბატონ ლიანას პროფესიონალიზმსა და მონდომებას. ამაში პირველივე წელს დავრწმუნდით: როგორც დიდ პროფესიონალიზმში, ასევე მოწვეული სტუმრების მრავალფეროვნებაში.

**- რატომ გადაინაცვლა ფესტივალმა ბორჯომიდან ბათუმში?**

- რამდენიმე მიზეზია. პირველ რიგში ის, რომ ბორჯომი პრაქტიკულად სამშენებლო პოლიგონად არის ქცეული, მიდის კურორტის აღდგენითი სამუშაოები. ამას გარდა, მოწადინებული ვიყავით, რომ გაფართოებულიყო ფესტივალის გეოგრაფიული არეალი. გარკვეული მოსაზრების გამო არჩევანი აჭარაზე, ბათუმზე შევაჩერეთ. მგონი საინტერესო იქნება. თუ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა, ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოვებთ არეალს.

**- რამდენად ძვირი უჯდება კომპანიას ფესტივალი?**

- არც იაფი. ამ შემთხვევაში თანადამფინანსებელია "საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო", ასევე ბათუმის მერია. ბათუმი ძალიან დაინტერესებულია ამ ღონისძიებით. სურთ, რომ ფესტივალი საკუთარი კურორტის პოპულარიზაციისთვის გამოიყენონ და მადლობელნი არიან, რომ ჩვენ მივეცით ამის საშუალება. ვფიქრობთ მომავალ ფესტივალზეც, რომელიც მეხუთე, საიუბილეო იქნება და შევეცდებით გრანდიოზული გამოვიდეს. შესაძლებელია, სხვა ქალაქიც ჩავრთოთ. თუკი ბორჯომის ინფრასტრუქტურა ამის საშუალებას მოგვცემს, განსაკუთრებით საკონცერტო დარბაზი, რომლის რეკონსტრუქციაც მიმდინარეობს, მომავალ წელს შესაძლებელი იქნება ფესტივალი ისევ ბორჯომში მოეწყოს.

**- რამდენად აფერხებს თქვენს სამეცენატო საქმიანობას ის, რომ კანონი მეცენატობის შესახებ მისაღებია?**

- ძალიან მნიშვნელოვანია ეს კანონი ჩვენთვის. ამის გარეშე ჩვენ ვზარალდებით, რადგან ნებისმიერი ჩვენი საქველმოქმედო ინიციატივა იბეგრება საგადასახადო ორგანოების მიერ, რაც გვაიძულებს ორმაგი თანხა გამოვყოთ ხოლმე ღონისძიებებისთვის. კანონში, რა თქმა უნდა, შევა ცვლილებები და გარკვეული შეღავათებიც იქნება გათვალისწინებული, რაც საშუალებას მოგვცემს ის დაზოგილი თანხა დამატებით მეცენატობის სფეროში მივმართოთ.

**- დაბოლოს, თუ აქვს თქვენს კომპანიას დაგეგმილი წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი კულტურული პროექტების დაფინანსება?**

- ამ ეტაპზე მიჭირს თქმა. წლის ბოლომდე ასეთი გრანდიოზული ღონისძიება არ გვაქვს გათვალისწინებული. საკუთარ თავს ვუწყობთ ღონსიძიებას. ჩვენი კომპანია 10 წლის ხდება. ვაჯამებთ ათი წლის შედეგებს. ათი წლის განმავლობაში კომპანიაში ზრდა შთამბეჭდავია. საიუბილეოდ ვგეგმავთ რამდენიმე ღონისძიებას. ჩვენი დიდი საჩუქარი იქნება 300 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა ნინოწმინდაში, სოფელ განძაში. სასწავლო წლის დასაწყისითვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ამ საჩუქარს გავუკეთებთ. ასევე, მოვაწყობთ ახალი ქარხნის პრეზენტაციასაც.

# რას გვამცნობენ საფლავის ქვები

ვერა ნეფარიძე

*სასაფლაოზე ყოფნა ბევრისთვის დროის კარგვაა, ზოგიერთს ეშინია კიდეც; ისეთებსაც ვიცნობთ, ვისაც ეპიტაფიების კითხვაში შეუმჩნევლად შეიძლება დრო გაეპაროს, ზოგიერთისთვის კი, საფლავებთან გატარებული დრო უბრალოდ, შთამბეჭდავია... განწყობას სასაფლაოებზე ძირითადად საფლავის ქვებზე დატოვებული წარწერები ქმნიან და ხშირად, საკმაოდ უცნაურსა და მხიარულსაც... ვისაც ეს პირადად არ განუცდია, მათთვის განსაკუთრებული მიგნება იქნება კატალოგი, რომელსაც "ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი" "პროკრედიტ ბანკის" მხარდაჭერით გამოსცემს.*




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ეთერ თათარაიძე*

გუშინ სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" იდეის ავტორებმა და მონაწილეებმა პროექტი მიმოიხილეს. საქართველოს უნიკალური საფლავის ქვების თავისებურებებზე, მათ დღევანდელ მდგომარეობასა და პროექტის ირგვლივ, ცენტრის ხელმძღვანელებმა - ეთერ თათარაიძემ, ამირან არაბულმა და "პროკრედიტ ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტიმ ისაუბრეს. გუშინ პრეზენტირებული პროექტი, თანამშრომლობის - ქართული ფოლკლორის ნიმუშების გადარჩენის პროექტის მესამე ეტაპია.

ძველებურ საფლავის ქვებს ჩვენში არც ისე ბევრი ქომაგი ჰყავს. დღეს ყველა ეს ადამიანი: ვახუშტი კოტეტიშვილი, ეთერ თათარაიძე, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ოთარ ჯანელიძე, აღნიშნულ ცენტრშია გაერთიანებული. მათი თაოსნობით არასამთავრობო ორგანიზაცია "ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი" 2000 წლიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა რამდნეიმე ექსპედიცია საერთო სახელწოდებით: "წამკითხველნო გთხოვთ შენდობასა" (ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ნაპოვნი უძველესი წარწერის მიხედვით). ფართომასშტაბიანი საძიებო ღონისძიებებისას ათეულობით უნიკალური ძველი საფლავის ქვას მიაგნეს; ეს ქვები მნიშვნელოვანია როგორც ქვითხუროობის ხელოვნების, ისე ეპიტაფიების თვალსაზრისით. ხუთი წლის წინათ ცენტრის წევრების იდეამ "სოროსის" ფონდის დახმარება მიიღო. "მივიღეთ გრანტი, რისი წყალობითაც მოვიძიეთ მასალა, რამაც ახალ-ახალი მასალის მოძიებისკენ გვიბიძგა. არ არის საკმარისი თითო-ოროლა კაცის გასვლა, რადგან ეს არის მართლა ძალიან დიდი მასალა. ყოველ სოფელსა და ქალაქს ახლავს ძველი სასაფლაო, ან ახალი სასაფლაოს ძველი უბანი. იქ ყოველთვის იძებნება ისეთი ქვები, რომლებიც ყურადღებამისაქცევია თავისი მხატვრობით, წარწერებით. ამ ხნის განმავლობაში, როცა კი მოგვეცემოდა საშუალება, ან ამინდიც გვიწყობდა ხელს, მივდიოდით. ბევრჯერ გზიდან დავბრუნებულვარ უამინდობის გამო, რადგან წვიმაში გადაღება შეუძლებელია, წარწერები არ ჩანს, მუქდება ქვა და არ იკითხება. საკმაოდ ბევრი ხელისშემშლელი მიზეზია", - გვეუბნება პროექტის დირექტორი ამირან არაბული.

"პროკრედიტ ბანკთან" თანამშრომლობამ ეს ხარვეზები იმედია, საბოლოოდ ამოაგდო. ხელმძღვანელობის თქმით, პროექტის მხარდაჭერით ბანკის მიზანია მხარი დაუჭიროს ქართული ფოლკლორის, ქართული კულტურის ისეთი მიმართულებების აღორძინებასა და შენარჩუნებას, რომელსაც უფუნქციო რელიქტად გადაქცევის აშკარა საფრთხე ემუქრება. "ჩვენი უპირველესი მიზანია, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა აღნიშნული ასევე გვავალდებულებს მხარი დავუჭიროთ ქართული კულტურის აღორძინებასა და შენარჩუნებას. საქართველოს გააჩნია მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა", - განაცხადა "პროკრედიტ ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტიმ.

დაწყებული საქმე საფლავების კატალოგის გამოცემით (სადაც ამირან არაბულის წინასიტყვაობასთან ერთად, 300-მდე ფოტომასალა იქნება) დასრულდება. კატალოგს, სავარაუდოდ მომავალ წელს ვიხილავთ. შემოდგომაზე კი ჯგუფი ყველა მოძიებული საფლავის ქვის ფოტოს შეაგროვებს.

"თუკი თანამედროვე და ძველი საფლავის ქვებს შევადარებთ, ეს იქნება კარგი საზომი, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი სული. ძველი ეპიტაფიებიდან ჩანს, როგორ მარტივად ხვდებოდა ქართველი სიკვდილს, დღეს კი სასაფლაოებზე სატელეფონო ხაზებია გაყვანილი", - თქვა ეთერ თათარაიძემ და კიდევ ერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება: ეს არის ძველებური ქვების ფერის ტექნოლოგია. ამ, ჩვენთვის უკვე სრულიად უცნობი ტექნოლოგიის წყალობით, ქვებმა საუკუნეებს გაუძლო. პრობლემაა ქვითხურო ოსტატების მოძიებაც. მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში საექსპედიციო ჯგუფმა ერთადერთ ასეთ ოსტატს მთიულეთში, სოფელ არახვეთში მცხოვრებ ავთანდილ ბურდულს მიაგნო. გუშინდელ პრეზენტაციაზე ჯგუფმა ჟურნალისტებს საინტერესო საფლავის ქვების ფოტოები აჩვენა, ასევე უამბო ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებული ამბები.

ეპიტაფიების განწყობა სხვადასხვაგვარია: "იძინე დიდებულო მოხუცო წიალთა შინა, ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო და შენთან ერთად გვექნება ბინა"; ან: "ვინც მე შენდობას მაღირსებს, იმან იაროს მზიანი". "განვედ უმანკოდ", - ეს ურბნისში ბავშვის საფლავზე ამოკითხული წარწერაა. ეპიტაფიის ერთგვარი შაბლონია: "დამფასა ჩემმა მშობელმან, შვილმან, ბიძამ" და.ა.შ.... მთიულეთის ერთ-ერთ სოფელში კი ომში დაღუპულის საფლავზე ვკითხულობთ: "დამფასა ჩემმა ამაგმა". განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა მუხრანის სასაფლაოს ერთ-ერთი ქვა: "მშვენიერებანი პირთანი დალპეს და სიჭაბუკისა ყვავილი დააჭკნოს სიკვდილმან, ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი, არამედ ნათელსა პირსა შენისასა განუსვენე ქრისტე სულსა"... ამ და კიდევ სხვა უამრავ ნიმუშს პროექტის დასასრულს როგორც შეგვპირდნენ, კატალოგით გაგვაცნობენ პროექტის ორგანიზატორები. მანამდე კი დახმარებას საზგადოებისგანაც ელიან: თუკი საინტერესო საფლავის ქვა ან ეპიტაფია გეგულებათ, შეატყობინეთ ცენტრში, იქნებ კიდევ ერთი შემატოთ ისტორიას.

## TV-პროგრამა

სამშაბათი 26.07

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ავანტიურისტები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ფორტ-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "პოეტი" (18) (დაგრეი სკოტი) **02.00** პატრული

---

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ნოდარ დუმბაძე" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" -შექსპირის სამშობლო **17.30** სერიალი "ჯეკ ჯექსონი" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "ბრილიანტების შემქმნელები" **23.00** პროფესიონალი **23.30** სერიალი "ლინდა და პოლიციელი" **00.30** ქართ. მხ. ფილმი "მთვარის მოცაღება" (გ) 1-2ს. **01.10** საინფ. გამოშვება

---

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "შენ სულელი ხარ" (გ) **11.00, 13.00, 14.00, 16.00** "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.00** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **16.05** სერიალი "დიუნის შვილები" **17.00, 19.00, 20.00** "მზერა" **17.20** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.05** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** მხ. ფილმი "ორნი ზღვასთან" (გ) **00.00** მხ. ფილმი "თიში" (18)

---

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვის რაჯა" **19.50** "ბაბილინა" **20.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** კინოსეანსი "ჩემნაირი ლამაზი გოგო"

---

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბუნების სადარაჯოზე" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ღმერთო რისი გულისთვის" **12.20, 13.15, 17.10, 01.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.20** ტვ-მარკეტი **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20** სპ. პროგრამა "ასი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **20.00** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "ბრონდბიუ" (დანია) **22.40** პირველები **23.30** მხ. ფილმი "შვება" (გ) (ბილი ბობ ტორნტონი)

---

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** სათავგად. ფილმი "მაიმუნთა მეფე" 1-2 სერია **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.10** კომედია "წვრილმანი თაღლითები" **16.50** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მუსიკა **21.30** "გადარჩენილი სიტყვა" **22.00** თრილერი "მეტრო" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** კომედია "ჩემს ცოლს მორისი ჰქვია" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

---

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"КГБ В СМОКИНГЕ". 10.20** Сериал **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Сергей Жигунов в фильме **"ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!". 1**-я серия. **13.50** Ричард Чемберлен в сериале **"СЕГУН". 15.20** Сериал **"ГЕРОЙ НАШЕГО ПЛЕМЕНИ". 15.50** Сериал **"СЫЩИКИ".** Заключительная серия. **16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. "Бомба для друга". **1**-я серия. **18.40** "Пять вечеров". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"КГБ В СМОКИНГЕ". 22.30** Роберт Де Ниро в фильме **"ПОЛИЦЕЙСКИЕ".** Суперзвездный состав фильма обеспечивает ему успех у любой аудитории - "Полицейских" смотрят и поклонники Де Ниро, и фанаты Сталлоне. История разворачивается в квартале, где живут только полицейские. Годами им выделяли земли на этом месте, и квартал превратился в настоящую полицейскую страну. Но, как известно, среди копов много плохих парней. И одни из них ни за что убивают человека. Дело начинает раскручивать шерифф. Но он еще не знает, что придется столкнуться со своими. **00.20** Уэсли Снайпс в фильме **"ИСКУССТВО ВОЙНЫ". 02.20** Шон Янг в триллере **"ЛИЦО ЗЛА".** Молодая женщина-полицейский Гвен славится своей необычной способностью точно воспроизводить портреты преступников со слов очевидцев. Из Чикаго она отправляется в небольшой городок, где прошло ее детство, чтобы оказать посильную помощь в деле о похищении маньяком семилетней девочки. Малышке чудом удалось сбежать от убийцы, и она рассказывает все, что запомнила. Нарисовав потрет, Гвен замирает от ужаса: на листе бумаги лицо ее отчима, задушившего много лет назад ее мать. Его все считали умершим... **03.50** Сериал **"ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ". 04.20** Сериал **"ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ". 05.05** Искатели. "Александр I. Тайна отречения".

---

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.20** Энциклопедия тайн. **08.55** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 11.55** Сериал **"ЖИЗНЬ - ПОЛЕ ДЛЯ ОХОТЫ". 13.35** Наталья Кустинская в комедии **"КОРОЛЕВСКАЯ РЕГАТА".** Студенческая команда гребцов терпит поражение на соревнованиях. Тренер объявляет о своем уходе и забирает с собой четырех лучших. Оставшиеся решают возродить команду. Новый тренер подходит к делу творчески, разрабатывает особую технику гребка. В отборочных состязаниях команда получает право выступить в международной регате. Удастся ли им победить? **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Шоу Степаненко. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЖИЗНЬ - ПОЛЕ ДЛЯ ОХОТЫ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ-II". 02.35** Бильярд. **03.10** Сериал **"10 - 8". 04.15** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.10** Сериал "Неизвестная война".

მოკლედ

## ბაკურიანს მეტოქეები უმრავლდება

ბულგარეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებისთვის ბრძოლაში სოფიის კანდიდატურა წარადგინა. ბულგარელთა სურვილი ჩვენთვის იმადაა მნიშვნელოვანი, რომ XXII ოლიმპიური თამაშებისთვის ბრძოლაში ბაკურიანიცაა ჩაბმული. აქვე შეგახსენებთ, რომ მანამდე 2014 წლის თამაშებისთვის საკუთარი კანდიდატურები წამოაყენეს პიონჩინგმა (სამხრეთ კორეა), ზალცბურგი (ავსტრია), ანესი (საფრანგეთი), სოჭი (რუსეთი) და ალმა-ატა (ყაზახეთი).

აქვე დავძენთ, რომ ბულგარეთისთვის ეს უკვე მესამე მცდელობაა უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. თავდაპირველად ბულგარელები საფრანგეთის ალბერვილთან (1992წ.) კენჭისყრის ბოლო ტურში ერთი ხმით დამარცხდნენ, მერე კი ნორვეგიის ლილეჰამერთან 1994 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

## დემეტრაძემ "ალანიაში" ქართველები გააშვიდა

დონეცკის "მეტალურგის" ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძემ UA-footbal-თან საუბარში ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადასვლათან დაკავშირებით დაწვრილებით ისაუბრა.

"ჩემპიონატის დაწყებამდე ვლადიკავკაზელებისგან მივიღე წინადადება, - ვითარებაში გვარკვევს დემეტრაძე. - ჩვენს შორის მოლაპარაკებებმა ორ თვეზე მეტ ხანს გასტანა და "ალანიამ" ბევრად სარფიანი ფინანსური პირობები შემომთავაზა. ჰოდა, მეც დავთანხმდი. კლუბიდან მუდმივად მირეკავდნენ. "ალანიას" ხელმძღვანელობას არც კი აინტერესებდა უკრაინის ჩემპიონატში რამდენი გოლი მქონდა გატანილი, როგორ ფორმაში ვიყავი. შეიძლება ითქვას, უპირობოდ ამიყვანეს".

ქართველი ლეგიონერის თქმით, "ალანიიდან" წასვლის შემდეგ კლუბის შემადგენლობა კარდინალურად შეიცვალა. თუმცაღა აკლიმატიზაცია მაინც არ გამიწირდება, რადგან ვლადიკავკაზელებთან ექვსი ჩემი თანამემამულე თამაშობსო. რაც შეეხება კონტრაქტს, იგი სამწლიანია.

## კრამნიკი ორთაბრძოლებისთვის ემზადება

მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკი მზადაა მსოფლიო გვირგვინისთვის გამაერთიანებელი მატჩი ჩაატაროს და იმავდროულად სუპერკომპიუტერსაც გაეჯიბროს. კრამნიკის აზრით, რომელიც უახლოეს ხანებში საკუთარი ოსტატობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას აპირებს, მიაჩნია, რომ ფიდეს მიმართ დამოკიდებულება არცთუ უიმედოა და რომ გაუჩნდა იმედი იმისა, რომ მატჩი ბოლოს და ბოლოს შედგება. რაც შეეხება საჭადრაკო სუპერკომპიუტერთან ორთაბრძოლას, დიდოსტატი დარწმუნებულა, რომ ადამიანის შესაძლებლობები ბოლომდე არაა ამოწურული.

## "ბარსას" ტრავმებმა ორი ფეხბურთელი წაართვა

"ბარსელონას" ნახევარმცველი ტიაგუ მოტა, რომელმაც ჯვარედინი იოგების გაწყვეტის გამო პრიმერადივიზიონის განვლილი სეზონის დიდი ნაწილი გააცდინა, კვლავაც ტრავმირებულია. ამჯერად "ბარსას" ბრაზილიელმა ლეგიონერმა მარცხენა ფეხის დიდი თითი დაიშავა. თუ კიდევ რამდენ ხანს ვერ შეძლებს მოტა მოედანზე გასვლას, ჯერჯერობით, უცნობია, რამდენადაც უახლოეს ხანებში ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

გარდა ამისა, "ბარსელონას" რიგებმა ბარძაყის კუნთის დაშავების გამო დაახლოებით სამ კვირით მოისაკლისა კლუბის ახალბედა სანტი ესკერო.

## როი კინი "მანიუდან", ალბათ, წავა

ინგლისური საინფორმაციო წყაროების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს როი კინს კლუბის დატოვება 2005/2006 სეზონის დასრულების შემდეგ განუზრახავს. საქმე ისაა, რომ ივლისის დასაწყისში ირლანდიელმა ფეხბურთელმა, რომლის კონტრაქტიც გაისად ზაფხულში იწურება, ვარჯიშზე კლუბის მწვრთნელ ალექს ფერგიუსონთან იჩხუბა. აქედან გამომდინარე იმავე საინფორმაციო წყაროებზე დაყრნობით, შესაძლოა, კინს ახალი კონტრაქტზე შეთანხმებისას პრობლემები შეექმნასო.

ფეხბურთი

# "დინამო" დანიურ ბარიერთან

### ცხადაძე VS ლაუდრუპი

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "დინამოს" უმძიმესი ორრაუნდიანი ომის პირველი ორთაბრძოლა მოუწევს. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო მატჩში საქართველოს ჩემპიონი დანიის უპირველეს გუნდს, "ბრონდბიუს" უმასპინძლებს. დანიური ფეხბურთის სიმბოლოდ შერაცხული ძმების უფროსი წარმომადგენლის, მიქაელ ლაუდრუპის მიერ დამოძღვრილი "ბრონდბიუ" გუშინ ჩამოფრინდა თბილისში და საკმაოდ გვიან, 21 საათსა და 30 წუთზე ეროვნული სტადიონის მინდორი "დააჭაშნიკა". "დინამო" "ჰამლეტის სამშობლოში" ერთი კვირის თავზე გაემგზავრება, გუშინ კი ჩვენმა გუნდმა მსუბუქად ივარჯიშა. საწვრთნელი პროცესის წარმართვამდე კახა ცხადაძემ "დინამოს" დილმის ბაზაზე მატჩისწინა პრესკონფერენცია მოიწვია.

მოგეხსენებათ, წინა რაუნდის შეხვედრაში "დინამოს" მარჯვენა გარემარბმა, დავით ოდიკაძემ წითელი ბარათი დაიმსახურა და იგი თავის გუნდს დღეს ვერ დაეხმარება. პრობლემა გაჩნდა დაცვის ხაზშიც: 20004-05 წლების სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მცველმა, რევაზ ქემოკლიძემ "ლევადიასთან" მატჩში ტრავმა მიიღო და ამის გამო დანიელების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

"ყველა დინამოელი, ქემოკლიძის და ოდიკაძის გამოკლებით, ხვალინდელი მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია. გუნდი სრული სერიოზულობით მოეკიდა თავის საქმეს და განსაკუთრებულად მოემზადა "ბრონდბიუს" წინააღმდეგ სათამაშოდ", - განაცხადა კახა ცხადაძემ.

დანაკლისზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა, "დინამოს" რიგებში შემომატებაცაა. 2 წლის წინ კიევის "დინამოში" გადასული ალექსანდრე ამისულაშვილი მშობლიურ კლუბს არენდის წესით, 6 თვით დაუბრუნდა, ხოლო სანდრო იაშვილი, რომელიც "თბილისში" იყო განათხოვრებული და "დინამოში" ირიცხება, უკვე თავის კლუბშია.


დღეს ცხადაძეს პირველი დიდი გამოცდა აქვს.

"ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წინ ამისულაშვილის და იაშვილის განაცხადში შეყვანა მოვასწარით. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, რის გამოც, ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში არ იმყოფებიან. თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ ხარვეზის კომპენსირება მონდომების და ჟინის ხარჯზე შეიძლება, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ისეთ საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებთან, როგორებიცაა ამისულაშვილი და იაშვილი. მათ 2-3 თამაშის უმაღლეს დონეზე ჩატარება შეუძლიათ. ამ ეტაპზე კი მათგან მეტს არც ვითხოვთ", - კმაყოფილია "დინამოს" მწვრთნელი მოულოდნელი მატებით.

"ბრონდბიუ" რომ საშუალოზე მაღალი ევროპული დონის გუნდია, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ამ გუნდში დანიის ნაკრების 5, ახალგაზრდული ნაკრების 4 და შვედეთის ნაკრების ერთი ფეხბურთელი თამაშობს. ზედ "დინამოსთან" მატჩის წინ "ბრონდბიუს" მაისურა მოირგო ბუნდესლიგიდან გადმობირებულმა ორმა ფეხბურთელმა. თავად ის ფაქტი, რომ გუნდს სათავეში 80-90-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა, მიქაელ ლაუდრუპი უდგას, ბევრ რამეზე მეტყველებს.

"სამწუხაროდ, მეტოქეზე სრული ინფორმაციის შეგროვება ვერ მოვახერხეთ. პირველ რიგში, ეს ეხება "ბრონდბიუს" ბოლო თამაშის ვიდეოჩანაწერს. შედეგად, ამ გუნდის შესაძლებლობებზე სრული წარმოდგენა ნამდვილად არ გვაქვს. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ "ბრონდბიუ" ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ახლახანს სტარტაღებული ეროვნული პირველობის სადებიუტო ტურში 3:0 მოიგო, ამ გუნდის ძალაზე მეტყველებს", - მაღალი შეფასება მისცა "დინამოს" დამრიგებელმა მოწინააღმდეგეს.

ობიექტურნი თუ ვიქნებით, "დინამოს" დანიური ბარიერის გადალახვის ძალზე მცირე შანსი აქვს. ერთის მხრივ გუნდი, რომელიც უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული კარგად არის შეთამაშებული და დაბალანსებული, საერთაშორისო ოფიციალური თამაშების დიდი გამოცდილება გააჩნია და რომლის წლიური ბიუჯეტიც 35 მილიონი დოლარია და მეორე მხრივ - ახალგაზრდული "დინამო", რომლის გუნდად ჩამოყალიბებაც და თავიდან დაკომპლექტებაც სულ თვენახევრის წინ დაიწყო, რომლის ფეხბურთელების აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ ერთ გუნდთან - ტალინის "ლევადიასთან" ოფიციალური თამაშის გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ფინანსური შესაძლებლობებითაც "დინამო", სულ მცირე, 8-ჯერ მაინც ჩამოუვარდება დანიის ჩემპიონს. თუმცა, არც თუ იშვიათად მომხდარა, რომ თამაშს წინასწარი სტატისტიკა და პროგნოზები თავდაყირა დაუყენებია და სწორედ ამის იმედი აქვს ცხადაძეს.

"რა თქმა უნდა, "ბრონდბიუს" ცშემდეგ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ შანსის კომპენსირება შესაძლებელია. ამისათვის დინამოელებმა განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობა, გამარჯვებისაკენ სწრაფვა და სპორტული თავდადება უნდა გამოავლინონ. თუ ჩემი ფეხბურთელები თამაშში იმის გაკეთებას მოახერხებენ, რის დემონსტრირებასაც ვარჯიშების დროს ახდენდნენ, შანსები გათანაბრდება", - ოპტიმიზმი არ ღალატობს უმძიმესი თამაშის წინ "დინამოს" მთავარ მწვრთნელს.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ მატჩს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს და თამაში დღეს, საღამოს 8 საათზე დაიწყება. "დინამოს" დღეს განსაკუთრებულად სჭირდება გულშემატკივრების მხარდაჭერა. ასე რომ, ყველანი სტადიონზე!







შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

სახელი
გვარი
ასაკი
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
2 შვილები: (თუ გყავთ)
3 პროფესია :
8 თქვენი ინტერესები
9 თქვენი ჰობი



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი